

ნოტარიატის თეორიული საფუძვლები

სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები

ნაწილი მეორე
დეონტოლოგია

ერიკ დეკერსი

ბელგიის ნოტარიუსთა

სამეფო ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი

*არ შევცდებით, თუ მის რჩევებს დავუგდებთ ყურს,
ამის მაგალითს თვითონ (ნოტარიუსი) იძლევა
ბოსიუე*

*ნებისმიერი პროფესია აუცილებლად მოითხოვს
საქმისადმი შეგნებულად მიდგომას, მის არსში ჩაწვდომას;
ასეთი მიდგომა კი უფრო ავანთებს, გმატებს გულისხმიერებას,
სულით აღვამაღლებს. თუკი ადამიანი პატივს სცემს თავის პროფესიას,
მან თვითონვე იცის, თუ როგორ დაიფასოს თავი
და მიაღწიოს იმას, რომ პატივი სცენ.*

*ეობერი
რეკომენდაციები და კომენტარები
ნოტარიატის ორგანიზაციის შესახებ კანონის თაობაზე
(მე-XI წლის 25 ვანტოზის კრება).*

IV. დამოუკიდებლობა

43. დამოუკიდებლობა ნოტარიატის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა. მასზე ჩვენ ვილაპარაკეთ წინა თავში, როცა ვიხილავდით პროფესიის არსს. ნოტარიუსი დამოუკიდებელია და ვალდებულია კიდევ იყოს დამოუკიდებელი, რათა მოიპოვოს ის ნდობა, რის გარეშეც იგი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. *დამოუკიდებლობა ეს ის თვისებაა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ზეწოლა, ან ზემოქმედება, ყველაფერი ის, რასაც ძალუძს აიძულოს ადამიანი სხვაგვარად წარმართოს თავისი საქმიანობა, არა ისე, როგორც ამას კარნახობს თვით პროფესიული კეთილსინდისიერება და მხოლოდ პროფესიული კეთილსინდისიერება მომსახურების სფეროს თანამდებობის პირისა.*

ნოტარიუსის ფუნქციები მას ვალდებულს ხდის, ადასრულოს პრევენტული მართლმსაჯულების მისია: უზრუნველყოს მორიგება და სტაბილურობა, არ მისცეს დასაბამი ნებისმიერ უთანხმოებას ავთენტიფიკაციისა (დამოწმებისა) და მასთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციის გზით. ასეთი ფუნქციით იგი უახლოვდება მოსამართლეს, აღმკვეთი მართლმსაჯულების მოსამართლის ფუნქციებს. ნოტარიუსის დამოუკიდებლობა იგივე ხასიათისაა, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობა: საქმე გვაქვს *მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან.*

პირველ თავში ჩვენ განვასხვავეთ *პიროვნული დამოუკიდებლობა* (თანამდებობაზე მუდმივად დანიშნა – ნუმერუს კლაუსუს – მონოპოლია – ტარიფი) და სამსახურებრივი დამოუკიდებლობა (პროფესიული ორგანიზაციის თავისუფლება),

რომლებიც ერთგვარ გარანტიას წარმოადგენენ ნოტარიატის პროფესიული დამოუკიდებლობისათვის (23).

პროფესიული დამოუკიდებლობა ეს ის დამოუკიდებლობაა, რომელსაც უნდა ავლენდეს ნოტარიუსი თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას; ეს ის დამოუკიდებლობაა, რომელზედაც ჩვენ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას სწორედ ამ თავში, სადაც საკითხი ეხება დეონტოლოგიას. ჩვენ აქ დავინახავთ, თუ როგორ ინარჩუნებს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებლობას სახელმწიფოსთან მიმართებაში, რამდენად დამოუკიდებელი იქნება იგი თავისი პროფესიული საქმიანობის ორგანიზაციისაგან, მომხმარებლებისა და საზოგადოებისაგან.

44. როგორ შეიძლება იყოს ნოტარიუსი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთან მიმართებაში, როცა იგი ამ სახელმწიფოს საჯარო თანამდებობის პირია? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ნოტარიუსი არავის ექვემდებარება. იგი ექვემდებარება მხოლოდ და მხოლოდ კანონს. ხელისუფლებას კი კვლავ მიაჩნია, რომ ნოტარიუსი, როგორც საჯარო თანამდებობის პირი რამდენადმე უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას და ამბობს, რომ ნოტარიუსების კონსულტაციებით იღახება ხაზინის ინტერესები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ნოტარიუსები მკაცრად იცავენ დაწერილ კანონს და თვით მის არსს, ასეთი შენიშვნები საფუძველს მოკლებულია. ნოტარიუსი ხომ საზოგადოებრივ-სოციალური დანიშნულების მისიას ასრულებს, ე. ი. იგი ახორციელებს პრევენტიული მართლმსაჯულების მისიას იურიდიული უზრუნველყოფის სახით, ეხმარება მხარეებს და აწესრიგებს მათ შორის არსებულ ურთიერთობებს.

ნოტარიუსს არ ევალება სახელმწიფოს ინტერესებზე, უფრო სწორად, მის ფისკალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა. ნოტარიუსის დამოუკიდებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ნოტარიუსი არ უნდა იყოს ისეთი ფუნქციებით დაკავებული (დაბეგერის, ან საგადასახადო კონტროლის), რომელთა არსებობა მოქალაქეს შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ ნოტარიუსი სახელმწიფო მოხელეა. მოქალაქე მას რომ ენდოს, ნოტარიუსი აშკარად დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფოსგან. ყველა ზემოთ ხსენებული საჩივარი უფრო ხშირად ისეთ კონსულტაციებს შეეხება, რომლებიც გადასახადებთანაა დაკავშირებული. ავიღოთ, მაგალითად, სამემკვიდრეო საქმე. სამემკვიდრეო საქმის შემთხვევაში, ნოტარიუსის კონსულტაციის შედეგად ქონების მემკვიდრეობით გადაცემა უნდა განხორციელდეს კანონიერად და ძალიან ხშირად მაღალი გადასახადების ეკონომიით, ისეთი მაღალი გადასახადებისა, რომლებიც არა მარტო ოჯახის ინტერესებს ეწინააღმდეგება, არამედ ეჭვქვეშ აყენებს მოცემული ოჯახის სამეურნეო საქმიანობის გაგრძელების საშუალებას. ასეთი კონსულტაციები კანონიერია და ამავედროულად მომგებიანიც, რადგან ნოტარიუსის კონსულტაციის საშუალებით უზრუნველყოფილი ხდება სამემკვიდრეო გადაცემა კანონის დაცვით ისე, რომ წარმოიშვას ყველაზე დაბალი საგადასახადო ვალდებულებები. ნოტარიუსის ამგვარი ქმედება განპირობებულია არა მხოლოდ უფლებით, არამედ მისი ნამდვილი მოვალეობით – გაუწიოს კლიენტს კონსულტაცია. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით კონსულტაციის გაწევა გულისხმობს, ყველაზე ეკონომიური გზის შეთავაზებას, მაშასადამე, ყველაზე მსუბუქი ბეგარის წარმომშობი გზის შეთავაზებას. უფრო ფართო მნიშვნელობით, ნოტარიუსი ვალდებულია ყოველთვის გაანალიზოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მის ხელთაა, მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულება ქონების გაყიდვის შემთხვევაში, რათა საჭიროდ მიიჩნიოს ისეთი დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნა, რათა შესაძლებელი გახდეს ქონების გადაცემა გართულების გარეშე, ან კიდევ სამემკვიდრეო ქონებაზე გადასახადის ეკონომია, ან კიდევ ორივე ერთად. ასეთი

სახის კონსულტაციით – კანონის სიტყვასიტყვით შესრულებითა და დაცვით (კანონიერების დაცვის ფუნქცია) – ნოტარიუსი ასრულებს თავის დანიშნულებას: ნდობის მისიას.

45. როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებას, ისე სასამართლოს უფლება არა აქვს ჩაერიოს ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობაში. მოსამართლეს არა აქვს უფლება მოსთხოვოს, ან უბრძანოს ნოტარიუსს გააფორმოს აქტი იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი უარს ამბობს თავისი სამსახურის გაწევაზე. ნოტარიუსი მტკიცეა თავის გადაწყვეტილებაში, ხოლო სასამართლო ორგანო კი, საჭიროების შემთხვევაში იფარგლება მხოლოდ იმით, რომ ნოტარიუსს აანაზღაურებინოს მისი უარის თქმით გამოწვეული ზარალი (24).

46. ნდობის მისია გულისხმობს არა მხოლოდ მომხმარებლის ნდობას ნოტარიუსისადმი, არამედ თვით სახელმწიფოს ნდობასაც, რადგან ნოტარიუსს სწორედ სახელმწიფო ანიჭებს უფლებამოსილებას. ასეთი ნდობა უმაღლესე გაქრება, თუკი ნოტარიუსი თავის თავს გამოაგლენს სახელმწიფოს მორჩილ მოხელედ. მომხმარებელი დაკარგავს მისადმი ნდობას, ხოლო კანონმდებლის დამოკიდებულება ნოტარიატის მიმართ მთლიანად მოიშლება. ნებისმიერ ვითარებაში ნოტარიუსი ვალდებულია შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა აუცილებლად, რათა იგი ყოველთვის წარმოადგენდეს „ლიცქ ტერ იმ Vორფელდ“ და შეგნებულად გამოიყენოს, განმარტოს და გააკონტროლოს კანონის შესრულების პროცედურა. ყოველივე ეს კი, კანონის ძირითადი დებულებების ფარგლებში, მას დიდ თავისუფლებას ანიჭებს. ავტორიტეტი, რომელსაც ნოტარიუსს თავისი დამოუკიდებლობა ანიჭებს, ემსახურება თვით კანონის დაცვას, რადგან იგი საკმაოდ ჯეროვნადაა ათვისებული. კანონშემოქმედნი თვლიან, რომ ნოტარიუსის დამოუკიდებლობა, რომლითაც შესაძლებელი ხდება ნდობის მოპოვება, საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე სახელმწიფოს მიერ პირდაპირი ჩარევა. ამდენად, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა, როგორც პოლიტიკური, ისე სასამართლო ხელისუფლებისაგან, ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს.

ნოტარიუსი, ანუ თვისუფალი პროფესიის მქონე პირი, თავისუფალია თავისი საქმიანობის მოწყობაში. იგი დამოუკიდებლად (თავისუფლად) ირჩევს თავის თანამშრომლებს. მას შეუძლია გადაწყვიტოს თავისი საქმიანობა წარმართოს ინდივიდუალურად, თუ თავის კოლეგასთან ერთად პარტნიორულ საწყისებზე.

ყველგან, სადაც ნოტარიუსი წარმართავს თავის საქმიანობას, განურჩევლად საქმიანობის ორგანიზაციისა, ნოტარიუსი ვალდებულია *მუდმივად შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა* – ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმეა, თუ რას გააკეთებს და რა კონსულტაციას გაუწევს მომხმარებელს, თუ რა დროს მოანდომებს ამა თუ იმ საქმის შესწავლას. იგი მოქმედებს წინა, მე-40 და 41-ე პარაგრაფებში აღწერილი უფლებებით (...).

47. ნოტარიუსი დამოუკიდებელია თავისი მომხმარებლებისგან. ნამდვილად დამოუკიდებელ ნოტარიუსს თავისუფლად უნდა შეეძლოს უთხრას თავის მომხმარებლებს „არა“ – რაოდენ უნდა ეცადოს მომხმარებელი სთხოვოს ნოტარიუსს მისიანიჭოს მის საქმეს (აქტს) ის ძალა და დამაჯერებლობა, რაც ნოტარიუსისგანაა მოსალოდნელი, ან რაოდენ უნდა სურდეს ნოტარიუსს, კმაყოფილი ჰყავდეს თავისი მომხმარებლები! მაგრამ ყველა საქმე ხომ ვერ იქნება ერთნაირად მოსაგვარებელი და გასაკეთებელი. ამდენად, ნოტარიუსი უფლებამოსილია უარი უთხრას მომხმარებელს თავის სამსახურზე, აუხსნას მას, თუ რატომ არ არის თანახმა, შესთავაზოს სხვა გზები, კანონიერი და

სამართლიანი (...). ამდენად, ნოტარიუსი მოწოდებულია დაადასტუროს თავისი დამოუკიდებლობა.

მტკიცებულებისა და სააღსრულებო ძალა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმას, რაც კანონიერია, კანონს შეესაბამება, სამართლიანია და რაც ყველანიირად გასაგებია ყოველი მხარისათვის. ზოგიერთ ნოტარიუსს ამ პრინციპზე ძალიან ფართო შეხედულება გააჩნია. სანოტარო პალატები ხშირად აწყდებიან ისეთ „რბილ“ და დამთმობ ნოტარიუსთა რიცხვს, რომლებიც არცთუ ისე იტვირთავენ თავს ზედმეტი განმარტებებით, როცა მათ თვითონ იციან, ან მომხმარებლებიც სთავაზობენ, თუ როგორ აუარონ გვერდი კანონს, ან კიდევ, როცა ისინი წაუყრუებენ, ან განზრახ ვერ ამჩნევენ გადასახადებისაგან თავის დაღწევის, ან კანონის საწინააღმდეგოდ ქმედების ფაქტს, ამით კი ისინი დალატობენ საზოგადოებრივი ნდობის პრინციპს და, შესაბამისად, ცდილობენ მიჩქმალონ კვალი. ასეთი „რბილი“ და უპატიოსნო ნოტარიუსები კი ჩირქს სცხებენ პროფესიას: ისინი გვერდს უვლიან თავიანთ ვალდებულებებს. გარდა ამისა, ამგვარი ნოტარიუსები მთლიანად უგულვებელყოფენ კოლეგებს შორის კეთილსინდისიერი კონკურენციის წესებს, ითვისებენ რა იმ შემოსავლებს, რაც მათ არ ეკუთვნით და რომელსაც ისინი ისეთი არაპატიოსანი მომხმარებლებისაგან იღებენ, რომლებიც მათ პრევენტული სამართლის სფეროში დახმარებისათვის მიმართავენ. ნოტარიუსი პატივს უნდა სცემდეს თავის პროფესიას და უნდა იღწვოდეს არა იმიტომ, რომ იგი უბრალოდ მოსწონდეს მომხმარებლებს, განსაკუთრებით კი საექვო და არაკეთილსინდისიერი საქმეების გამო.

48. ნოტარიუსი უნდა იყოს მიუკერძოებელი. ჩვენ ამ საკითხს კვლავ ვუბრუნდებით. მაგრამ იმისათვის, რომ ნოტარიუსი მიუკერძოებელი გახდეს, ამისათვის საჭიროა, რომ იგი დამოუკიდებელი იყოს. *ნოტარიუსი, რომელიც დამოუკიდებელია, მაგრამ ემხრობა თავის კლიენტს, არ შეიძლება იყოს მიუკერძოებელი.* აშკარაა, რომ ყოველ ნოტარიუსს სწადია მის მომხმარებლებს შორის იყოს რაც შეიძლება ბევრი მეწარმე, ან უძრავი ქონების სააგენტოს მეპატრონე, რომლებიც მისი ხშირი სტუმარი იქნება აქტების გასაფორმებლად. ეს ნორმალურია: გარკვეული რაოდენობის მსხვილი და მუდმივი კლიენტურა სანოტარო კანტორის სიცოცხლისუნარიანობის გარანტიაა, აქედან გამომდინარე კი, ნოტარიუსის დამოუკიდებლობის საფუძველი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნოტარიუსი ყურმოჭრილი მსახური იყოს ასეთი მსხვილი მეწარმეებისა. დამოუკიდებელ ნოტარიუსს უნდა შეეძლოს თავისი კლიენტის შეფასება. თუკი იგი ხვდება, რომ კლიენტი მას ყურს უგდებს, პატივს სცემს და საპირისპირო მტკიცებას ეთანხმება, იგი თვლის, რომ კლიენტმა მას მიმართა სწორედ მისი კონსულტაციისა და სამსახურის გამო და არა სხვა საბაბით. ასეთი კლიენტი, სწორედ ნამდვილი ღოცვის ტოლფასია მისთვის. მაგრამ თუკი ნოტარიუსი ამჩნევს, რომ კლიენტი ყურს არ უგდებს მის რჩევას და ცდილობს გამოიყენოს იგი თავისი საქმეების მოსაგვარებლად, რაოდენ პატიოსანი და სამართლიანიც უნდა იყოს ეს მოთხოვნა, იგი ვალდებულია არ ენდოს მას და ყველაფერი ისე შეასრულოს, როგორც წესი და რიგია. სწორედ ამაზეა დამოკიდებული მთელი მისი ავტორიტეტი, თავისი კანტორის რეპუტაცია და საერთოდ, მთლიანად დარგის ღირსება. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ადვილად დათანხმდება „თავისი“ ნოტარიუსის „მეორე მხარისათვის“ უფრო მომგებიანი წინადადებას საპატივცემულო და პატიოსანი კლიენტი, ეს საკითხი ბევრად უფრო რთულია და მას ჩვენ განვიხილავთ შემდეგ თავში, სადაც ლაპარაკი იქნება მიუკერძოებლობაზე. თუმცა, ცხადია, ერთი რამ – ნოტარიუსი, რომელიც თავიდანვე იზრუნებს თავისი დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვაზე, უფრო ადვილად გაატარებს მიუკერძოებლობის პრინციპსაც, ვიდრე ის ნოტარიუსი, რომელიც პირფერობით ცდილობს კლიენტის მოზიდვას.

49. *საერთოდ, დამოუკიდებლობაში იგულისხმება დამოუკიდებლობა საზოგადოებასგანაც.* სინამდვილეში საქმე ეხება *დამოუკიდებლობის ცნებას* ბაზართან მიმართებით. თავისუფალი პროფესია, რომელიც თავისუფალია სამსახურებრივი მოწყობის თვალსაზრისით და საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე თვითონ არის პასუხისმგებელი – აი ის ნიშანდობლივი თვისებები, რისთვისაც იგი საზოგადოების კეთილგანწყობის ობიექტი ხდება. იგი ცდილობს იპოვოს საკუთარი ადგილი ბაზარზე. მომხმარებელს სთავაზობს მისაღებ ფასებს გაწეულ სამსახურზე და პასუხს აგებს მისი სამსახურის ხარისხზე. და თუკი ამბობენ, რომ თავისუფალი პროფესია არ ნიშნავს კომერციულ სამსახურს, რომ ნოტარიუსი არ ეწევა კომერციულ საქმიანობას, რადგან *ნოტარიუსს ეკრძალება კომერციული საქმიანობა.* მაშ, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

რას ნიშნავს „კომერციული აქტი“? ზოგიერთი კანონმდებლობა არ იძლევა განმარტებას სამოქალაქო აქტებსა და კომერციულ აქტებს შორის არსებულ განსხვავებაზე. იქ, სადაც განსხვავება მოცემულია, კანონი მაინც არ იძლევა გარკვეულ საზღვრებს, რომელიც შეიძლება არსებობდეს იმ სამსახურებს შორის, რომლებიც მიეკუთვნება კომერციულს და, რომლებიც არ მიეკუთვნება კომერციულს. იგი ზოგჯერ იძლევა ობიექტური კომერციული აქტების ჩამონათვალს, ისეთი კომერციული აქტებისა, რომლებიც იწოდებიან კომერციულ აქტებად ამა თუ იმ კოდექსის, ამა თუ იმ მუხლის შესაბამისად. ზოგჯერ კანონი მათ მიიჩნევს სუბიექტურ კომერციულ აქტებად, ვინაიდან მათი შემომტანნი ისეთი პირები არიან, რომლებიც იწოდებიან კომერსანტად (მეწარმედ) მათი სავაჭრო-სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გამო. ფაქტიურად უნდა ვაღიაროთ, რომ ობიექტური, თუ სუბიექტური კლასიფიკაცია არც თუ ნათელს ჰყენს ამ ცნებას (25) და ერთადერთ კრიტერიუმად წმინდა სამოქალაქო აქტებსა და კომერციულ აქტებს შორის განსხვავების დასადგენად გვევლინება სამუშაოს მიმწოდებლის მიდგომა იმ სამსახურის სახეობისადმი, რომელსაც იგი იძლევა. მიმწოდებლის მიდგომა სრულიად განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად განაპირობებს ამ მიდგომას გაწეული სამსახურის ხარისხზე ზრუნვა, რადგან მიმწოდებელს მშვენივრად ესმის ამ სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ან კიდევ, თუ ამ მიდგომას საფუძვლად უდევს რაღაც სარგებლის მიღება განურჩევლად იმისა, თუ რა სახის სამსახურის მიწოდებას ეხება საქმე. თავისუფალი პროფესია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამსახურის გაწევას, მიმწოდებლისაგან მოითხოვს, რომ მან მთელი ყურადღება უნდა გაამახვილოს გასაწევი სამსახურის ხარისხზე; ეს გამომდინარეობს თვით საზოგადოებრივ-სოციალური ინტერესებიდან და, აქედანვე – კანონმდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის დამოუკიდებლობის დაცვა ურთიერთდამოკიდებული ფუნქციებით, როგორცაა მონოპოლია, ტარიფი და ნუმერუს კლაუზუს. დაუშვებელია, რომ მიმწოდებელს (შემსრულებელს), უწინარესად, ამოძრავებდეს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, ან არსებობა, ვიდრე პროფესიული წარმატება. იმის მტკიცების გარეშე, რომ კომერსანტი არ იღტვის პროფესიული წარმატებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ *კომერციული აქტისათვის* დამახასიათებელია, პირველ რიგში, მოგების მიღებისა და, აქედან გამომდინარე, კომერსანტის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზანი.

50. მოგების მიღების მიზანი სამუშაოს მიმწოდებელს დამოკიდებულს ხდის: მისი საქმიანობა ვითარდება მოსალოდნელი მოგების მიღების მიზნით განსაზღვრულ ფარგლებში. თავისუფალი პროფესიონალი უნდა კი ესწრაფოდეს, რომ თავიდან აიცილოს დამოკიდებულება (რომელიც, ცხადია, მნიშვნელოვნად ამცირებს გაწეული სამსახურის ხარისხს): ხარისხზე ზრუნვამ უნდა გადაწონოს მოგებისათვის მოქმედება.

თუმცა, თავისუფალი პროფესიონალი და, განსაკუთრებით ნოტარიუსი რეგულარულად უნდა ზრუნავდეს კანტორის რენტაბელობაზე. რენტაბელობისათვის ზრუნვა არ ნიშნავს მოგებისათვის მოქმედებას, თუკი რენტაბელობა მიზანია და არა მოტივი. რენტაბელობისათვის ზრუნვა გარანტიაა დამოუკიდებლობისა (ფინანსური), მაშინ როცა მოგების მიღებისაკენ ლტოლვა შედეგად წარმოშობს დამოკიდებულებას. რენტაბელობისათვის ზრუნვა კარგად ესამება უანგარობის ჩამოყალიბებულ კონცეფციას, იმდენად კარგად, რომ იგი აშკარად მიგვითითებს მის დამოუკიდებლობაზე ფულთან მიმართებაში. წმინდად და პატიოსნად შესრულებული სამუშაო ყოველთვის არის და უნდა იყოს მთლიანად რენტაბელური, ხოლო მისი შემსრულებელი - ნამდვილად დამოუკიდებელი, თუკი მისი საქმიანობა, შემოსავლის უზრუნველსაყოფად, მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას.

51. ფულთან ნოტარიატის კავშირი, შესაძლოა, განმსაზღვრელიც იყოს ამ პროფესიის მომავლისათვის.

პროფესიამ სრული ძალისხმევით უნდა გადალახოს და არ დაუშვას ასეთი ორაზროვნება. პროფესიამ ბოლო უნდა მოუღოს ყველა ნაკლოვანებას იმ ნოტარიუსების საქმიანობაში, რომლებიც სარგებლობენ რა თავიანთი სტატუსით და ნოტარიატის ინსტიტუტის ავტორიტეტით, ცდილობენ გამდიდრდნენ თავიანთი კლიენტურისა და კოლეგების ხარჯზე. ასეთი ნოტარიუსები უკვე ბაზარს ეკუთვნიან და ვერც იმსახურებენ თავიანთი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

მოგების მიღების მიზანი თვით კომერსანტის (მეწარმის) მოქმედებიდან გამომდინარეობს. ნოტარიუსისათვის უცხო უნდა იყოს ყოველნაირი კომერციულ-ვაჭრული დემარში, კერძოდ, ყოველგვარი ცდა მსხვილი და შექცეული კლიენტურის მოსაპოვებლად, ყოველგვარი ცდა, დაუახლოვდეს სხვა დანარჩენ პროფესიებს (კომერსანტებს, განსაკუთრებით უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სფეროში) საქმის მოზიდვის თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ ფულის გაყოფასა და სხვა კომერციულ ოპერაციაზე, რომელთაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ზოგიერთი საქმის წარმოებისას. აშკარაა, რომ ვაჭრობა დამოკიდებულს ხდის ნოტარიუსს. გარდა ამისა, ასეთი მოქმედება არღვევს კოლეგიალურობისა და ნოტარიუსის თავისუფლად არჩევის წესს.

52. კომერციული გარიგება შესაძლებელია გადაიზარდოს პიროვნული რეკლამირების მრავალთაგან ერთ-ერთ ფორმაში. საზოგადოებას, ცხადია, სჭირდება რეკლამა. შეიძლება თუ არა დაშვებულ იქნას რეკლამა ნოტარიატში? პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითია, თანაც რადიკალურად უარყოფითი (27). კომერციული რეკლამა, შესაძლებელია, თავისუფალი ბაზრის მთლიანად პოზიტიური მედლის უაღრესად მახინჯი და გახრწნილი მეორე მხარე იქნება, თუკი იგი ეყრდნობა საზოგადოების იმ ღირებულებებს, რომლის სიწმინდესაც იგი ხელყოფს და თუკი განგებ არღვევს ამ ღირებულებების შესახებ საზოგადოებრივ აზრს.

რეკლამა სრულიად ეწინააღმდეგება ნოტარიუსის ფუნქციას (რომელიც გულისხმობს საჯარო მომსახურებას) და მის სტატუსს (რომლის შესაბამისად, ნოტარიუსი საჯარო თანამდებობის პირია), ის, რაც ეკუთვნის საჯარო სფეროს, არ შეიძლება იყიდებოდეს ბაზარზე. ნოტარიატი კომერციის მიღმა დგას და თავის თავს წარმოაჩენს ავტორიტეტულობით, ხარისხით, მთელი პრინციპულობით და არ გარდაიქმნება საზოგადოების სურვილის გამო. რეკლამა არადროულია, რადგან იგი საფუძველს აცლის საზოგადოების ნდობას. ეს რომ თვალნათლივ დავინახოთ, საკმარისია გადავხედოთ შეერთებული შტატების დიდი ქალაქების სატელეფონო ყვითელ ცნობარებს სათაურით: „ტტორნეფს ანდ ნოტარიუს“ და, აშკარად დავრწმუნდებით, თუ რამდენად დიდია განსხვავება იმ თანამდებობასა და

კომერციულ პროფესიას შორის, რომელთაგან პირველი ფასდება, როგორც პრევენტიული მართლმსაჯულება, ხოლო მეორე - როგორც პროფესია, რომელიც მხოლოდ ჰყიდის მომსახურებას. ინდივიდუალური რეკლამა მითუმეტეს სათაკილოდაც ჩანს, თუ ამას აკეთებენ ისეთი მოხელეები, რომლებიც თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად სარგებლობენ იმ პრივილეგირებული სტატუსით, რომელსაც მათ ანიჭებს მონოპოლია, ტარიფი და ნუმერუს კლაუზუს.

თუ რეკლამა არ უნდა იქნას დაშვებული, მაშინ მისი აკრძალვა სადისციპლინო ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს მთელი სიმკაცრით, თუმცა ზომიერად. არ უნდა დავეყრდნოთ იმ აზრს, რომ მომხმარებლის ინფორმირების მიზანი თითქოს ითხოვ, რომ ნოტარიუსმა აჩვენოს, თუ რომელი სფეროა მისთვის სასურველი თავისი სამსახურის გასაწევად, თუ როგორია მისი კვალიფიკაცია, თუ რამდენად ფლობს იგი უცხოურ ენებს და ა.შ. საჭიროა განა საზოგადოებისათვის ყოველივე ამის ინფორმირება რეკლამის მეშვეობით? რა თქმა უნდა, არა! შეიძლება კი ვენდოთ იმ მინიმალურ სიბრძნეს მომხმარებელთა მხრიდან, ვინც სპეციალიზირებული სამსახურის ძებნაში, ყურს დაუგდებს საზოგადოებრივ ჭორებს და მიიღებს ინფორმაციას რეპუტაციის შესახებ?

შეიძლება თუ არა სპეციალიზაციის შესახებ ინფორმირება პალატების მხრიდან, როგორც ეს უკვე გაკეთებული აქვთ სხვა პროფესიათა ზოგიერთ გაერთიანებას (ადვოკატები და ა.შ.)? რასაკვირველია, არა!

საჭიროა კი იმის თქმა, რომ არ არის საჭირო სპეციალიზაციის აფიშირება ნებისმიერ პროფესიაში, სადაც თითოეული წევრის მოვალეობაა საჯარო (სავალდებულო) სამსახურის გაწევა განურჩევლად სფეროსი?

საჭიროა თუ არა აკრძალოს ბლანკზე მითითება წოდებებისა „ექსტრა-ნოტარიუსი“, როგორც ეს ხდება ხოლმე უნივერსიტეტების პროფესორების ტიტულის ჩვენებისას? მოითხოვს თუ არა წინასწარ სპეციალურ ნებართვას ნოტარიუსების მიერ მოწოდებული საჯარო ლექციები? ყველა ასეთი წვრილმანის აკრძალვა ძალაუნებურად სახელს უტეხს ამ პროფესიის პრესტიჟს.

ამდენად, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის, აუცილებელია ბრძნულად მოქმედება და თვალნათლივ წარმოდგენა იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს საჯარო სამსახურსა და კომერციულ სამსახურს შორის, რომელიც ბაზარზე იყიდება. ასევე, გაერკვიო, თუ რას ეძებს და ამოძრავებს მოხელეს და რას იღებს და რას გრძნობს საზოგადოება: კომერციულ დემარშს თუ პროფესიის პრესტიჟს.

53. სულ სხვა რამეა ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს სანოტარო ორგანიზაციები დარგის განვითარებისა და დაცვის თვალსაზრისით, დარგისათვის ყველა სახის სამსახურის გაწევის უფლების შენარჩუნებისა და მომსახურების ეფექტურობის მიზნით. ღირებულებები, რომელსაც წარმოადგენს სანოტარო საქმე, ნამდვილად იმსახურებს ადგილს მედლის წინა მხარეზე.

V. მიუკერძოებლობა

54. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიუკერძოებლობა წარმოადგენს ნოტარიატის ერთ-ერთ სპეციფიკურ და, ალბათ, ყველაზე ძირითად დამახასიათებელ თვისებას. იგი, ასევე ყველაზე ძნელად მისაღებია, ყველაზე უფრო საორჭოფო (კერძოდ, ადვოკატისათვის) და ყველაზე უფრო სხვაგვარადაა გაგებული საზოგადოების მიერ. თუკი ის, რაც ყველაზე მთავარია, მეტად სუსტია და მერყევი, დარგობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან გამოიჩინონ სიფხიზლე, განმარტონ დეონტოლოგია და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას.

55. დამოუკიდებლობა სანოტარო საქმის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა. იგი წარმოადგენს აუცილებელ პირობას (რომლის უარყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება) მიუკერძოებლობისათვის, თუმცა, ის სინამდვილეში

სპეციფიკურ თვისებას არ წარმოადგენს. ნოტარიუსის დამოუკიდებლობა ინტეგრირდება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაში; იგი ეხება ნოტარიუსს ისევე, როგორც მოსამართლეს, ან მართლმსაჯულების სხვა რომელიმე სუბიექტს, როგორცაა, მაგალითად ადვოკატი. *მიუკერძოებლობა განასხვავებს* ნოტარიუსს ადვოკატისაგან, რომელიც არსით მიკერძოებულთა რიცხვს ეკუთვნის. მიუკერძოებლობა საერთოა როგორც ნოტარიუსის, ისე მოსამართლისათვის. ამ თვისებით ორივე მათგანი მიეკუთვნება მართლმსაჯულებას, რომელიც ერთს აღმკვეთ მისიას აკუთვნებს, მეორე კი - პრევენტულს.

56. მაშინ, როცა მიუკერძოებლობა ნოტარიუსისა და მოსამართლისათვისაც საერთოა, *ნოტარიუსის მიუკერძოებლობა სპეციფიურია*, რადგან ნოტარიუსს ევალება კონსულტაციის გაწევა, ხოლო მოსამართლეს – არა. ნოტარიუსი ვალდებულია კონსულტაცია გაუწიოს ყველა მხარეს. მაგრამ ნოტარიუსის მიუკერძოებლობას ეს ვალდებულება განსაკუთრებულ სპეციფიკურობას ანიჭებს, რაც მას ასე განასხვავებს მოსამართლის მიუკერძოებლობისაგან. ორივე მათგანი ვალდებული არიან უზრუნველყონ სამართლებრივი უსაფრთხოება; თუმცა, ნოტარიუსი, გარდა ამისა, ვალდებულია უზრუნველყოს იურიდიული დახმარებაც. *კონსულტაციის გაწევის ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიულ უსაფრთხოებას, საფუძვლად უდევს მიუკერძოებლობას, რაც სპეციფიკურია ნოტარიატისათვის და, რომელსაც შეიძლება დავარქვათ სავალდებულო მიუკერძოებლობა*, როგორც ამას უწოდებენ ხოლმე სანოტარო იურიდიულ ლიტერატურაში აქტის ავთენტირების (დამოწმების) შემთხვევაში.

მოსამართლის მიუკერძოებლობა ხორციელდება გარკვეული საზღვრების ფარგლებში. ხელთ აქვს რა მოსამართლეს მხარეთა მტკიცებულებები, იგი ამ მტკიცებულებებს აანალიზებს იზოლირებულად მოსამართლის სათათბირო ოთახში და გამოაქვს გადაწყვეტილება კანონის შესაბამისად. ნოტარიუსს არ გამოაქვს გადაწყვეტილება, ის აერთიანებს, კრებს. იგი ხელშეკრულების თანაავტორია ისე, რომ არ მონაწილეობს, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებების აღსრულებაში (28). ნოტარიუსი აქტიურად მონაწილეობს ხელშეკრულების შედგენაში და მოქმედებს სავალდებულო სამართლებრივი დახმარების ვალდებულების შესაბამისად. ეს ვალდებულება საკმაოდ კარგადაა განმარტებული გერმანიის „*ეურკუნდუნგსგესეტზ*“-ის მე-17 პარაგრაფში; მე-18 პუნქტში იგი იწოდება, როგორც სანოტარო საქმიანობის „*მაგნა ცარტა*“ (29). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით ნოტარიუსის სამართლებრივი დახმარების გაწევის არეალი უფრო ფართოა და იგი შეიძლება მოიცავდეს საზოგადოებათა სამდივნოებს, უძრავი ქონების საკითხების შესწავლას, ბელგიაში უძრავი ქონების შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დახმარება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მიჩნეულია, როგორც სანოტარო მოქმედების თანმხლები საქმიანობა, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ავთენტირების (დამოწმების) პროცედურას (30).

57. აშკარად ჩანს, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა მოსამართლის მიუკერძოებლობასა, რომელიც ზოგიერთი პირობით არსებობს, და ნოტარიუსის მიუკერძოებლობას შორის, რომელიც სრულდება როგორც ვალდებულება. ეს ვალდებულება და ნოტარიუსის ერთგულება ამ ვალდებულებისადმი აშკარად მჭიდროდ უკავშირდება ნოტარიუსის სანდობას. სახელმწიფო ენდობა ნოტარიუსს, რათა მისი საქმიანობა გახდეს ეფექტური (...).

მოქალაქე ნოტარიუსს ენდობა იმდენად, თუ რამდენად იგრძნობს იგი დახმარებას იმ ერთგული, თავდადებული მრჩეველისაგან, რომელიც მასში ნდობას იწვევს. *ნოტარიუსი ნდობის გარეშე ვერც იმოქმედებს*. ამასთან, მან უნდა იმოქმედოს სრული მიუკერძოებლობით. *ნდობა და მიუკერძოებლობა* – ორივე

მათგანი ნოტარიატის არსია. თუმცა, მათი კავშირი სირთულეებსაც ქმნის. ამაზე კი, შემდგომში განვახლებთ საუბარს.

58. რადგან მიუკერძოებლობა ძალზე მნიშვნელოვანია, უფრო სწორად, არსებითი, ნოტარიუსი ვალდებულია მთელი სერიოზულობით, მკაცრი სერიოზულობით დაიცვას იგი თავის პრაქტიკაში.

უკვე ითქვა (პარაგრაფი 21), რომ მხოლოდ დეონტოლოგია განსაზღვრავს ნოტარიუსის საქმიანობას. ამასთან, ნოტარიუსი ვალდებულია *იყოს მიუკერძოებელი თავის ნებისმიერ საქმიანობაში*. ნოტარიუსის საქმიანობა ყველგან ერთგვაროვანი არ არის. ზოგიერთ ქვეყანაში იგი შემოიფარგლება მხოლოდ ავთენტიფიკაციით (დამოწმებით) და წინასწარი კონსულტაციის გაწევით, რასაც ხშირად ავთენტირების (დამოწმები) პროცედურას უწოდებენ. პროცედურა ხშირად მხოლოდ კონსულტაციით შემოიფარგლება, ზოგჯერ კი მას თან მოსდევს ხელშეკრულების ჩამოყალიბება. ნოტარიუსი თავისი საქმიანობის ყველა სფეროში მკაცრად უნდა იცავდეს მიუკერძოებლობის პრინციპს სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილის მიმართ. *დაუშვებელია ნოტარიუსის საქმიანობის დანაწევრება და თქმა იმისა, რომ იგი მიუკერძოებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ასრულებს საჯარო თანამდებობის პირისა და თავის ვალდებულებებს, ხოლო როცა იგი მოქმედებს როგორც თავისუფალი პროფესიის პირი, ნოტარიუსს არ მოეთხოვება მიუკერძოებლობა*. ასეთი განსხვავება არსებობს ნიდერლანდების 1999 წლის 3 აპრილის კანონის მოსამზადებელ შრომებში, რაც ხმამაღალი კრიტიკის ღირსია. ჰოლანდიელ კანონმდებელს ამ თვალსაზრისით არ გაუთვალისწინებია ის შენიშვნები, რომლებიც თვით სანოტარო საქმის რეალობითაა განპირობებული. სწორედ სანოტარო საქმე ცხადყოფს, რომ მიუკერძოებლობა უნდა არსებობდეს ყოველთვის მიუხედავად გაწეული სამსახურის ფორმისა. საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ 21-ე პარაგრაფში მოცემული განმარტებანი.

59. მოთხოვნის სიმკაცრე იმდენად შორის მიდის, რომ ნოტარიუსი ყველანაირად უნდა შეეცადოს თავიდან აიცილოს ნებისმიერი ეჭვი მის მიმართ – შეძლებს თუ არა ნოტარიუსი იყოს მიუკერძოებელი. ეს წესი გერმანიის კანონმდებლობაში პირდაპირაა ჩამოყალიბებული: „ნოტარიუსი ვალდებულია არ დაუშვას თუნდაც მსგავსება, ან სიახლოვე ნებისმიერი სახის მიკერძოებასთან“. ეს პასუხობს პრინციპს: „*ჟუსტიცე მუსტ ალსო ბე სეენ ტო ბე დონე*“(31).

60. როგორი მკაცრად სავალდებულოც უნდა იყოს მიუკერძოებლობის პრინციპი, შეუძლებელია მისი ათვისება წინააღმდეგობის გარეშე, ძნელია გაუძლო იმ *მუდმივ დაძაბულობას, რაც არსებობს ნდობასა და მიუკერძოებლობას შორის*. ერთი ქვებეკელი ავტორი წერს: „ბევრი ჩვენი კოლეგისათვის ძნელი წარმოსადგენია, ან გაფიქრებაც გამორიცხებულია, რომ რომელიმე დაიკბინოს მისი მასაზრდოებელი ხელი, ან მოიქცეს მიუკერძოებლად ისე, რომ არ დაუშვას თუნდაც უმცირესი მიკერძოება ისეთი მუდმივი კლიენტის მიმართ, რომელიც უკანასკნელ კაპიკსაც კი გაიღებს“(32).

61. უწინარესად, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ნოტარიუსის მიუკერძოებლობის სპეციფიკურობა, სავალდებულო მიუკერძოებლობა, გაიგივებული არ უნდა იყოს იმ აზრთან, თითქოს ნოტარიუსს არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. არის შემთხვევა, როცა ნოტარიუსი *ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება და გარკვეულად გამოთქვას თავისი აზრი, რადგან მისი მონაწილეობის საბოლოო მიზანი კონფლიქტის თავიდან აცილებაა, რაც იმას მაინც ნიშნავს, რომ შენარჩუნებულ იქნას გათანაბრებული სიტუაცია*. დახმარების ასეთი ფორმა ნოტარიუსს ავალებს ინიციატივა გამოიჩინოს იმ შემთხვევაში, თუკი

ხელშეკრულების მხარეებს შორის წონასწორობა დარღვეულია. ამ შემთხვევაში იგი უნდა ჩაერიოს კიდევ, რათა კვლავ აღადგინოს ის, რასაც ანგლო-საქსონები ეძახიან „ქუალიტე ოფ ბარგაინინგ პოწერს“(33).

როგორც კონსულტანტი, ნოტარიუსი ვალდებულია შეავსოს ის, რაც გამოწვეულია მხარის უცოდინარობით, ან გამოუცდელით. ჰოლანდიურ ნოტარიატში ხმარობენ შემდეგ გამოთქმას: „ცომპესერენდე ონპარტიჯდიგკეიდ“ („მაკომპენსირებელი მიუკერძოებლობა“). ნოტარიუსი ვალდებულია დამარეგულირებელია. ნოტარიუსისათვის მიუღებელია, რომ გამოცდილებამ და ცოდნამ რომელიმე მხარეს ისეთი უპირატესობა მიანიჭოს, რაც საზიანო იქნება მეორე მხარისათვის. ნოტარიუსის მიუკერძოებლობისათვის წონასწორობა უფრო დამახასიათებელია, ვიდრე ნეიტრალურობა, რომელიც შეუთავსებელია სანოტარო საქმის ნდობის პრინციპთან.

62. მაგრამ ამითაც არ იხსნება ის პრობლემა, რომელზედაც ლაპარაკობდა ზემოთმოხსენიებული ქვებეკელი ავტორი. მხარეებს შორის წონასწორობის აღდგენის მიზნით ნოტარიუსის მონაწილეობა ემსახურება სანოტარო პროფესიისადმი ნდობას. მაგრამ როგორი იქნება ამ შემთხვევაში „კარგი და ერთგული კლიენტის“ ნდობის ფაქტორი, რომელიც ხედავს, რომ „მისი“ ნოტარიუსი მას წინააღმდეგობას უწევს და ზღვა ინფორმაციას აწვდის მეორე მხარეს, რითაც ეჭვის ქვეშ აყენებს „კარგი და ერთგული კლიენტის“ საქმეს? ხომ არ მიგვანიშნებს ყოველივე ეს იმაზე, რომ ნოტარიუსი კონსულტაციას გაუწევს ყოველ მხარეს, ვინც კი თხოვს? ყველა ნოტარიატმა, ვისაც კი ეს შენიშვნები ეკუთვნის, უნდა იცოდეს, რომ დასავლეთ ევროპულ ნოტარიატებში არსებობს ორი განსვავებული მიმართულება. პირველი მიმართულების ნოტარიატი მოითხოვს, რომ ერთ აქტს ამოწმებს მხოლოდ ერთი ნოტარიუსი, რომელიც ვალდებულია დაიცვას აბსოლუტური მიუკერძოებლობა. მეორე მიმართულების ნოტარიატში კი დაშვებულია – ზოგჯერ რეკომენდაციასაც კი უწევენ – რომ ერთი აქტი მიღებულ იქნას ორი, ან რამდენიმე ნოტარიუსის მიერ, რომლებიც ასეთნაირად ქმნიან ერთიან მესამე მხარეს და რომლებიც ვალდებულნი არიან კოლეგიალურად და რაც შეიძლება მკაცრად დაიცვან მიუკერძოებლობის პრინციპი.

63. ნოტარიატთა უმრავლესობა წინააღმდეგია სანოტარო მოქმედებაში ერთ ნოტარიუსზე მეტის მონაწილეობისა, მიიჩნევენ რა, რომ ეს ეწინააღმდეგება თვით მიუკერძოებლობის პრინციპს. ეს ის ნოტარიატებია, სადაც სტატუსის მიხედვით, საჯარო ფუნქცია უფრო მეტად ფასობს, ვიდრე თავისუფალი პროფესია და სადაც საქმიანობის მიხედვით ძირითადია დამოწმების პროცედურა, ხოლო ძალიან ცოტა (ან საერთოდ არ არის) – სხვა საქმიანობა; უფრო მეტიც, ასეთი საქმიანობა სრულიად გამორიცხულია, თუკი საქმე წყდება ეკონომიკურ დონეზე. ასეთია, მაგალითად, გერმანული ნოტარიატი. ავალდებულებს რა ნოტარიუსს გაუწიოს კლიენტს აქტიური დახმარება (ზედმიწვევით შიფრავს ამ ვალდებულებას), ჩაერიოს, რათა აღადგინოს წონასწორობა, გერმანული სანოტარო სამართალი გამორიცხავს სხვა მეორე ნოტარიუსის ჩარევას. აქტის შემდგენი ნოტარიუსი ვალდებულია მარტომ იკისროს მიუკერძოებლობის მთელი სიმძიმე, ხოლო რაც შეეხება „კარგ და ერთგულ კლიენტთან“ მიდგომის პრობლემას (უკვე ვნახეთ მისი წესი - „ზოგადი დებულების“ პირველი პარაგრაფი, აბზაცი 2, ნოტარიუსი ვალდებულია ყველაფერი იღონოს, რათა ახლოს არ აღმოჩნდეს ნებისმიერ მიკერძოებასთან, და იგი „ამაზე განსაკუთრებით უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, თუკი იგი ვალდებულია მიიღოს მრავალრიცხოვანი მსგავსი აქტები, რომლებიც შეეხება და აინტერესებს ერთი და იგივე პირს“ (34). ჰოლანდიურმა ნოტარიატმა, რომელიც მხარს უჭერს ერთი აქტის მხოლოდ ერთი ნოტარიუსის მიერ მიღების პრინციპს, რამდენადმე შეამსუბუქა მოცემული პრინციპი და მწვანე შუქი მისცა

მომხმარებლის მიერ თავისი ნოტარიუსის თავისუფალ არჩევანს იმ შემთხვევაში, როცა აქტები შეეხება ლოტებს უძრავი ქონების კომპლექსში და ლოტები მიღებულია გამყიდველის ნოტარიუსის მიერ (35).

64. მეორე მიმდინარეობას, რომელიც გვხვდება საფრანგეთსა და ბელგიაში, *საფუძვლად უდევს პრინციპი, რომლის მიხედვით ნღობა არჩევანის შედეგს წარმოადგენს*. ამ მიმდინარეობის შესაბამისად, ნოტარიუსის სტატუსში უფრო მეტი აქცენტი კეთდება ურთიერთნდობაზე, რომელიც მყარდება თავისუფალი პროფესიის მქონე პირსა და თავის კლიენტს შორის. ასეთი ურთიერთობა გულისხმობს უწყვეტობას, ურთიერთნდობის ხანგრძლივობასა და კლიენტისადმი სამსახურის გაწევას ერთი და იმავე მრჩეველის მიერ კლიენტის ქონებრივი და ოჯახური არსებობის მთელი პერიოდისათვის. და მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში კლიენტურა არცთუ ისეთი ერთგულია, როგორც იყო, აღნიშნული მიმდინარეობა თვლის, რომ თითოეული მოქალაქის უწყვეტი უფლებაა კონსულტაციისათვის მიმართოს თავის პირად კონსულტანტს, რომელსაც იგი თავად ირჩევს თავისუფლად. *ასეთ თავისუფალ არჩევანს მივეყვართ ნოტარიუსთა სიმრავლისაკენ*, რადგან იმის მტკიცებას, რომ მხარეებს უფლება აქვთ გააკეთონ თავისუფალი არჩევანი, ხოლო მათგან დაშვებულია მხოლოდ ერთი ნოტარიუსი, აზრი არა აქვს: აქ გადასაწყვეტია, თუ მხარეთაგან რომელი უნდა დათახმდეს მეორე მხარის არჩევანს.

65. ისმის კითხვა - *ეწინააღმდეგება თუ არა რამდენიმე ნოტარიუსის ჩარევა მიუკერძოებლობის პრინციპს?* უწინარესად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ყოველი კონკრეტული ნოტარიუსი ინარჩუნებს არც მეტი, არც ნაკლები, მიუკერძოებლობის ვალდებულებას. მას არ შეუძლია თვითონ აირჩიოს თავისი თავი, რათა დაიცვას თავისი რწმუნებულის ინტერესები. ის მზადაა, რათა დახმარება გაუწიოს მას და გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი, თუკი ხვდება, რომ მისი კლიენტი მას თხოვს მიკერძოებულ მოსახურებას, რომლის შესრულებაც მას არ შეუძლია. შემდეგ ისმის კითხვა - *ეროვნული ტრადიციებისა და მისგან გამომდინარე დეონტოლოგიური ნორმების დაცვის გათვალისწინებით შესაძლებელია თუ არა პრაქტიკულად განვითარდეს კოლექტიური მიუკერძოებლობის დეონტოლოგია?* ნოტარიუსებს სისხლხორცში აქვთ გამჯდარი ხელშეკრულების, შეთანხმების, მორიგების გაფორმების კულტურა. თუკი ნოტარიუსები იმიტომ არსებობენ, რომ ადამიანები მორიგდნენ, შეთანხმდნენ, მაშინ ისინი იმისთვისაც არსებობენ, რათა ერთმანეთშიც მორიგდნენ. კოლექტიური მიუკერძოებლობა განუხორციელებელი ოცნება არ არის. ის მიუთითებს, რომ რამდენიმე ნოტარიუსი ერთმანეთში თანამშრომლობს ერთი საერთო აქტის თაობაზე, სადაც ყოველი ნოტარიუსი თავისი პროფესიისა და გამოცდილების მიხედვით ანალიზებს იმ მასალებს, რომელსაც მას წარუდგენს ის კლიენტი, რომელმაც იგი აირჩია, მაგრამ სადაც ყველა ნოტარიუსი ქმნის კოლექტიურად მესამე მხარეს, რომლის მიზანია შეთანხმების მიღწევა და აქტის გაფორმება, მათი წონასწორობისა და დაცვის უზრუნველყოფა. ბელგიური ნოტარიატი ე. წ. „ჩარევას“, რასაც საფრანგეთში „დახმარებას“ უწოდებენ (ე. ი. მხარეთაგან ერთ-ერთის მიერ არჩეული ნოტარიუსის მეორე მხარის მიერ შერჩეული ნოტარიუსის წარმოებაში არსებულ მასალებში ჩარევა), წარმატებულად და სიამოვნებით იყენებს პრაქტიკაში. ნოტარიუსები ვერასდროს ვერ იქნებიან თავიანთი კლიენტების ადვოკატები და თუკი ისინი ადვოკატის როლს შეასრულებენ, მათ შეიძლება გაფრთხილებაც კი მიიღონ სადისციპლინო ორგანოებისაგან. მაშინაც კი, როცა საქმე რთულია და შესაძლოა სადაოც გახდეს, ნოტარიუსები მაინც იტოვებენ იმედს, რომ შესძლებენ მორიგებისათვის გარკვეული საფუძვლის შექმნას და შეიძლება ითქვას, ისინი კიდევაც აღწევენ ხშირად წარმატებას თავიანთი შუამავლობით, თუმცა არც არასდროს მაღავენ, რომ

შეთანხმების იმედი უმაღლვე ქრება, როგორც კი ადვოკატი გამოჩნდება! შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კოლექტიური მიუკერძოებლობის რეალური კულტურის განვითარების პერსპექტივა.

66. ევროპული ნოტარიატი, რომელიც ევროკავშირის ნოტარიატთა მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრია, ეროვნულ ნოტარიატებს სთავაზობს *დეონტოლოგიის კოდექსს*, რომელიც შეიცავს განსაზღვრული რაოდენობის წესებს, რომელთა დაცვაც სავალდებულო იქნება ნოტარიუსების მიერ იმ შემთხვევაში, თუ ტრანსაქცია ხდება ზეეროვნულ დონეზე. ბელგიამ დასვა წინადადება, შემოღებულ იქნას ისეთი წესი, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივ და უცხოელ ნოტარიუსებს შორის თანამშრომლობას. აღმოჩნდა, რომ მრავალ ევროპულ ნოტარიატს უძნელდებოდა იმის დაშვება, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ასეთი თანამშრომლობა ისეთ ნოტარიუსებს შორის, რომლებიც მოქმედებენ მიუკერძოებლობის პრინციპით და რაც (მიუკერძოებლობის პრინციპი) ამა თუ იმ ქვეყანაში განსხვავებულია. მიუკერძოებლობა საქმის წარმოების მიზნით ასოცირებულ ნოტარიუსთა რაოდენობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თვით მათი თანამშრომლობის დეონტოლოგიის ხარისხზე.

67. ზეეროვნულ ურთიერთობათა დონეზე ერთი აქტის მომზადებაში ჩართულ ნოტარიუსებს შორის თანამშრომლობას შეიძლება გააჩნდეს შემდეგი უპირატესობანი:

- უფრო მეტი სამართლებრივი უსაფრთხოება;
- კლიენტსა და ნოტარიუსს შორის ურთიერთნდობის შემდგომი განვითარება;
- უკეთესად გარანტირებული წონასწორობა.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ბელგიელმა კანონმდებელმა ვანტოხის კანონის შემცველ 1999 წლის 4 მაისის კანონში განავითარა ნოტარიუსის თავისუფლად შერჩევის პრინციპი. კანონის მე-9 მუხლი ამბობს: „როდესაც იგი (ნოტარიუსი) ადგენს, რომ ადგილი აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს, ან აშკარად დისპროპორციულ ვალდებულებებს, ნოტარიუსი ამახვილებს მხარეთა ყურადღებას ამ გარემოებებზე და აფრთხილებს მათ, რომ ნებისმიერ მათგანს კანონით შეუძლია მიმართოს სხვა ნოტარიუსს და ისარგებლოს კონსულტანტის კონსულტაციით. ნოტარიუსი ყოველთვის აწვდის თითოეულ მხარეს ინფორმაციას ყველა იმ უფლებებზე, მოვალეობებზე, ხარჯებზე, რომლებიც თან მოსდევს იურიდიული აქტის გაფორმებას და აძლევს მხარეებს კონსულტაციას სრული მიუკერძოებლობით.“

68. საერთო წესით იქ, სადაც რამდენიმე ნოტარიუსია ჩართული კონსულტაციის გაწევის მიზნით, *ჰონორარი იყოფა*. ეს სასურველიცაა, თუ არ სურთ, იპოთეტური გახდეს ნოტარიუსის თავისუფლად არჩევის უფლება, და აუცილებელიც, რათა შესაძლებელი გახდეს იმ ფაქტის ჩვენება, რომ საქმეში ჩართული ნოტარიუსები ერთიანობაში ქმნიან მესამე მხარეს, კოლეგიას, რომელიც თავისუფლად მოქმედებს მიუკერძოებლობის პრინციპით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ნოტარიუსის თავისუფლად არჩევის პრინციპის პერსპექტივა ნდობის თვალსაზრისით, რითაც კლიენტი ნოტარიუსს უკავშირდება, სრულებით არ არბილებს მიუკერძოებლობის პრინციპის იმპერატიულობას. თუმცადა, ნოტარიუსის განსაკუთრებული მისია მართლმსაჯულების აღსრულებაში, რაც განეკუთვნება ნდობის მისიას და დუალისტური – საჯარო ფუნქცია-თავისუფალი პროფესია, რომელიც აძლერებს ნდობას, მოითხოვს, რომ მიუკერძოებლობის არსი განსაზღვრულ იქნას ისევე ნათლად, როგორც წონასწორობის არსი და რომ ის ისევე სრულყოფილად

განხორციელდეს ნოტარიუსთა კოლეგიის მიერ, როგორც პირადად ნოტარიუსის მიერ.

VI. კონფიდენციალურობა

69. ნოტარიატი არ არსებობს ნდობის გარეშე, ხოლო ნდობა ვერ მიიღწევა კონფიდენციალობის დაცვის თვინიერ. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, მიენდოს თავის კონსულტანტს ისე, რომ მას არ ჰქონდეს თავისი საიდუმლოების გამჟღავნების შიში. აქ საქმე გვაქვს ფუნდამენტურ უფლებასთან და საზოგადოება მას იცავს იმ გაგებით, რომ არსებობს უფრო მაღალი რამ, ვიდრე პირადი ინტერესი, *არსებობს საჯარო და ჭეშმარიტად სოციალური ინტერესი იმისათვის, რომ მოქალაქეებს პირადად მიეცეთ უფლება თავისუფლად, ყოველგვარი შიშის გარეშე მიმართონ საჯარო თანამდებობის პროფესიონალებს დახმარებისა და კონსულტაციის მისაღებად.* იმისათვის, რომ ნოტარიატმა შესძლოს სოციალური როლის შესრულება, საჭიროა, საზოგადოებას აბსოლუტურად სჯეროდეს, რომ ყველაფერი ის, რაც ითქმება და გადაწყდება კაბინეტებსა და კანტორებში, დაცულ იქნება საიდუმლოდ საიდუმლოს შენახვის ვალდებულების შესაბამისად.

70. ნოტარიატთა უმრავლესობისათვის დუმილი, რომელიც ნოტარიუსმა უნდა დაიცვას, ორის სახით გვხვდება (36). ერთის მხრივ, აქტის საიდუმლოება, ანუ ოქმის საიდუმლოება ნოტარიუსს უკრძალავს აქტში გადმოცემული არსის გამხელას, კერძოდ, მათი ასლების გაცემისას, ან მათი გაგზავნისას იმ პირებისათვის, რომლებიც მხარეებს არ წარმოადგენენ, ან არ არიან მათთან პირდაპირ კავშირში. ასე, მაგალითად, XI წლის 25 ვანტოზის კანონის 22-ე და 23-ე მუხლების თანახმად, ნოტარიუსებს ეკრძალებათ ოქმები გასცენ, გააგზავნონ, ან გასაცნობად გადასცენ სხვა პირებს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ამ აქტებთან. (...)

ნოტარიუსი ვალდებულია შეინახოს საიდუმლო, არ გაამხილოს, არ გაახმაუროს იგი. ზოგჯერ ასეთი ვალდებულება ზოგადია და იგი ვრცელდება როგორც კონფიდენციალურ, ისე არაკონფიდენციალურ ინფორმაციაზეც, მასალებზე, რომლებსაც კრებს ნოტარიუსი თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ან მის ფარგლებს გარეთ. როგორი ზოგადიც უნდა იყოს ეს ვალდებულება, აღნიშნული ინფორმაცია განეკუთვნება პროფესიულ საიდუმლოებას. წინამდებარე თავში განხილულია ის წესები, რომლებიც მიღებულია მრავალ ქვეყანაში და, რომელთა შესაბამისად, პროფესიული საიდუმლოების გამხელა ისჯება სისხლის სამართლით. აღნიშნული წესები შემდგომში დახვეწილ იქნა პროფესორებისა და იმ პირების მიერ, რომლებიც მოღვაწეობენ იურისპრუდენციაში. მათ იურიდიულ ლიტერატურაში შემოიტანეს ცნება საიდუმლოების გაუმხელობისა, რაც გულისხმობს კონფიდენციალობის დაცვას და რომლის დარღვევაც ისჯება ადმინისტრაციული, ან დისციპლინური პასუხისმგებლობით იმ შემთხვევებში, როცა მოცემულ დარღვევაზე არ ვრცელდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

პროფესიული საიდუმლოება

პროფესიული საიდუმლოების არსი

71. პროფესიული საიდუმლოების არსი მეტად მძაფრი მსჯელობის საგანს წარმოადგენს: საიდუმლოება აბსოლუტურია, თუ შეფარდებითი? მას აბსოლუტურად მიიჩნევს ის, ვინც თვლის, რომ პროფესიული საიდუმლოება საჯარო მართლწესრიგის ნაწილია: საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მთელი საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ყოველ მოქალაქეს შეეძლოს გარანტირებული იყოს იმ პირთა მხრიდან, რომელთაც გააჩნიათ საიდუმლოების

დაცვის ვალდებულება და რომელთაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მისია აკისრიათ საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის სფეროში (37). ამდენად, პროფესიული საიდუმლოება განაპირობებს ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას, უფრო სწორად, ამა თუ იმ დარგის წარმატებით ფუნქციონირებას. არ მოიძებნება ისეთი შეთანხმება თუ დებულება, რომელიც ქადაგებდეს საიდუმლოს გამხელას. საიდუმლოება *შეფარდებითა* მათთვის, ვინც მასში ხედავს მხოლოდ პირადული ინტერესების დაცვას უმაღლესი რანგის ინტერესებთან შედარებით და აგრეთვე მათთვის, ვინც იცავს ძირითად სახელშეკრულებო ნაწილის საიდუმლოებას. საიდუმლოების მფლობელი ამით განტვირთავს საიდუმლოების შემნახველს. საიდუმლოების შეფარდებითი ხასიათი, შესაძლოა, უფრო რთულად წარმოიხდეს ისეთი ასოციაციების საქმიანობის შედეგად, რომლებიც მხარს უჭერენ დაყოფილი საიდუმლოების თეორიას (38). აბსოლუტურია იგი, თუ შეფარდებითი, ნოტარიუსი ვალდებულია ინდივიდუალურად დაიცვას კანონი მიუხედავად იმისა, რომელ თეორიას უჭერს მხარს იგი. თუმცა, სანოტარო ორგანოებს აქვთ ყველანაირი საშუალება, რათა შეუნარჩუნონ პროფესიულ საიდუმლოებას თავისი მკაცრი ხასიათი „საჯარო წესრიგის, საერთო და აბსოლუტურ დონეზე“, როგორც ამას აცხადებდა 1983 წლის 16 ნოემბერს პარიზის დიდი ინსტანციის სასამართლო, ამასთან იგი უშვებდა, რომ სანოტარო საიდუმლოება იმოსება პრაგმატიზმით ძალზე იშვიათი იურისპრუდენციული გამონაკლისების დაშვების გამო (39). სიმკაცრე ნდობის წყაროა. საზოგადოება ზურგს შეაქცევს ისეთ პროფესიას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მისთვის კონფიდენციალობის დაცვას, ან ქმნის შთაბეჭდილებას საიდუმლოების თვითნებურად გამხელის შესახებ კერძო შეთანხმების მიუხედავად, ან იმ ინტერესების მიუხედავად, რომლებიც ზედაპირულადაა მიჩნეული უმაღლეს ინტერესებად. *იმპერატივია, რომ საზოგადოებას ნათლად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული პროფესიული საიდუმლოების კონცეფცია: საიდუმლოება წმინდაა მანამ, ვიდრე კლიენტი კეთილსინდისიერია: თუ კლიენტი ბოროტად იყენებს ნოტარიატის ინსტიტუტს და თავის საიდუმლოებას დანაშაულებრივი საქმიანობის დასაფარავად, მაშინ იგი აღარ იმსახურებს დაცვას.*

პროფესიული საიდუმლოების განზომილება

72. არის თუ არა პროფესიული საიდუმლოება ძირითადი? იმ შემთხვევაში, თუ გვინდა დავიცვათ აბსოლუტური ხასიათის პროფესიული საიდუმლოება, მაშინ აუცილებელია განვსაზღვროთ მისი მოქმედების არეალი. სანოტარო კანტორა ვერ იქნება სამარხი ყველაფრისა, რაც იქ გაკეთდა, ან ითქვა. საქმეთა წარმოება გულისხმობს ნორმალურ და შეუფერხებელ კომუნიკაციას (კავშირს) იმ პროფესიონალებს შორის, რომლებიც დასაქმებულნი არიან შესაბამის სფეროში, ან კიდევ პროფესიონალებსა და მათ კლიენტებს შორის. მეორეს მხრივ, კერძო და საჯარო ინტერესები, რომლებიც იცავენ პროფესიულ საიდუმლოებას, მუდმივად განიცდის კონკურენციას საზოგადოებრივი ინტერესებისაგან, რომელიც გულისხმობს სოციალურ-კონომიკური ცხოვრების ნათელ გამჭვირვალობასა და, აქედან გამომდინარე, სინამდვილის ძიებასა და დადგენას.

73. *პროფესიული საიდუმლოების არსებობის აუცილებელი პირობაა თვით საიდუმლოების არსებობა.* საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 226-13-ე მუხლით ისჯება საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნება. პოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლიც ასევე ითვალისწინებს საიდუმლოების გამხელის დასჯას. ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 458-ე მუხლი ასეთ სასჯელს იყენებს იმ პირების მიმართ, რომლებიც გაამჟღავნებენ მათთვის განდობილ საიდუმლოს.

რა არის საიდუმლოება? ერთი ბელგიელი ავტორი განსაზღვრავს, რომ ნოტარიუსის პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება კონფიდენციალური ხასიათის ყველანაირი ფაქტი, რომელიც ცნობილი ხდება ნოტარიუსისათვის თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების საფუძველზე და რომელიც მას გაანდეს იმ იმედით, რომ დათქმული (შეთანხმებული), თუ უსიტყვო ვალდებულების არსებობის გამო არ გაამხელს მას (40). თავისი ბუნებით ზოგიერთი ფაქტი კონფიდენციალურია; საიდუმლოების დაცვის ვალდებულება არ საჭიროებს შეთანხმებას. სხვა ფაქტების გაგება სხვა არსებითაცაა შესაძლებელი; ამით ეს ფაქტები ისინი არ კარგავენ თავიანთ კონფიდენციალურ ხასიათს და მათი გამხელით შეიძლება დაზარალდეს ის, ვისაც იგი ეხება.

უპრიანია, თუ დავიცავთ წესს, რომლის მიხედვით *ყველაფერი ის, რისი აფიშირებაც დაუშვებელია ყველასათვის მისაწვდომი რეკლამირებით, მიეკუთვნება კონფიდენციალურ სფეროს, აქედან გამომდინარეობს პრეზუმფცია – ნოტარიუსს მხარეებისაგან დაკისრებული აქვს ვალდებულება, დაიცვას სიჩუმე (41)*. პოლანდიის უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ყველაფერი ის, რასაც მიანდობენ ნოტარიუსს, როგორც ნოტარიუსს, უნდა მიეკუთვნოს კონფიდენციალურობის სფეროს, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რომელი მათგანი უნდა შეინახოს მან, როგორც საიდუმლო და რომელი არა, ეს უკვე შედის თვით ნოტარიუსის კომპეტენციაში (42). *კონფიდენციალობის პრეზუმფცია*, რომლის საწინააღმდეგო მტკიცების ტვირთი ეკისრება ნოტარიუსს, *მიზნად ისახავს საზოგადოების ნდობის გაძლიერებას*. საზოგადოებას არ შეუძლია, დაწვრილმანდეს განსხვავებათა დადგენაში. იგი მოითხოვს კონკრეტულ და სავსებით გასაგებ გადაწყვეტილებებს (43).

74. იმის გამო, რომ ინფორმაცია გახდეს პროფესიული საიდუმლოება, საჭიროა, რომ იგი გაენდოს საიდუმლოების დაცვის ვალდებულების მქონე ნოტარიუსს თავისი სამსახურებრივი ვალდებულების შესრულებისას. საჭიროა კი განვასხვავოთ ნოტარიუსი პროფესიული საქმიანობის მიხედვით? საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნოტარიუსის დამოწმების ფუნქციასა და კონსულტაციის გაწევის ფუნქციას შორის განსხვავება არ უნდა არსებობდეს. ეს ფუნქციები განუყოფელია და, როგორც გერმანული ნოტარიატი ამბობს, ერთიანობაში ქმნის დამოწმების (ავთენტიფიკაციის) პროცედურას. გერმანიაში პროფესიული საიდუმლოება ერთიანია. ყოველგვარი პრობლემის გარეშე (44). მაგრამ, გარდა იმისა, რასაც ნოტარიუსი ასრულებს, როგორც საჯარო ფუნქციის მქონე პირი, ნოტარიუსი ასრულებს კერძო ხასიათის გარკვეულ საქმიანობას – სამსახურებრივი ფუნქციების ფარგლებს გარეშე, ხშირად იურიდიული ხასიათის საქმიანობას (კერძო აქტების რედაქტირება ხელმოწერების დამოწმებით, კონსულტაცია, სამემკვიდრეო განცხადებების შედგენა და სხვა). ზოგჯერ კი უფრო ეკონომიკური ხასიათის საქმიანობას (უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების ექსპერტიზა, მართვა და სხვა). *დაცულია თუ არა ამგვარი ხასიათის კერძო საქმიანობა პროფესიული საიდუმლოებით?* ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. რადგან აქაც შევნიშნავთ, რომ საზოგადოებას ვერ დაავალდებ, განასხვავოს ის, რისი განსხვავებაც მას არ შეუძლია: მას უნდა შეეძლოს ისე მიმართოს მთელი ნდობით ნოტარიუსს, რომ არც იკითხოს, ვის მიმართავს იგი – საჯარო ფუნქციის მქონე პირს, თუ თავისუფალ პროფესიონალს. 21-ე პარაგრაფში ნათქვამია კიდევ, რომ მხოლოდ დეონტოლოგია განმსჭვალავს ნოტარიუსის ყველანაირ სახის საქმიანობას. თუმცა *ამ აზრს ყოველთვის არ იზიარებენ*. საფრანგეთში და შვეიცარიაშიც პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შესაძლებელია განვასხვავოთ სუფთა და უხეში შემსუბუქებული სანოტარო პროფესიული საიდუმლოება. აქედან პირველი აბსოლუტურია და ეხება მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელიც ცნობილია ნოტარიუსისათვის, როგორც საჯარო ფუნქციის შემსრულებელი პირისათვის;

მეორე კი შეფარდებითი, ანუ ქვაზი-აბსოლუტური, რომელიც ეხება ნოტარიუსის თანმხლებ საქმიანობას: ქონების მართვა, კონსულტაცია ქონების განკარგვასა და მართვაზე, ექსპერტიზა ურთიერთშეთანხმებით, უძრავი ქონების შესახებ გარიგებები და სხვა. თუმცა ამ თეზისის ავტორისათვის ცნობილია, რომ სხვები ქადაგებენ გლობალიზაციას და მოიშველიებს თ. სანსეოს, რომელიც აღნიშნავს, რომ ნოტარიუსის საქმიანობა არ უნდა იყოს დანაწევრებული ბუნდოვნად, რაც აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას მის საბოლოო შედეგზე პროფესიული საიდუმლოების თვალსაზრისით.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად პროფესიული საიდუმლოება ნიშანდობლივია იმ პროფესიონალების საქმიანობისათვის, რომელთაც აქვთ ნდობის ვალდებულება და, რომელთაც მიმართავენ იმიტომ, რომ მათ მინიჭებული აქვთ მონოპოლია განსაზღვრული სამსახურის გაწევაზე. ისეთი პროფესიონალები, რომლებიც არ არიან აუცილებელი ნდობით აღჭურვილი პირები (ბანკირები, საწარმოთა იურისტები და სხვა) ვალდებულნი არიან მხოლოდ შეინახონ საიდუმლოება (46). აქედან გამომდინარე, სამართლებრივი თვალსაზრისით საკლებით შესაძლებელია, რომ ნოტარიუსსა და კლიენტს შორის არსებობდეს შეთანხმება ნოტარიუსის ფუნქციის ფარგლებს გარეთ სამსახურის გაწევაზე, ე. ი. ისეთი სამსახურისა, რომელსაც არ მიაწვდის იგი, როგორც საჯარო ფუნქციის შემსრულებელი პირი. კლიენტს, რომლისგანაც მომდინარეობს საიდუმლოება, შეუძლია მოხსნას საიდუმლოების შენახვის ვალდებულება მაშინვე, როგორც კი ის ნაკლებად აბსოლუტური გახდება. მაგრამ კიდევ ერთხელ ისმის კითხვა: ასეთი განსხვავების შედეგად, რომელიც ასე ორაზროვნად გამოიყურება, ძალიან ხომ არ სუსტდება ის ნდობა, რომელსაც საზოგადოება იჩენს სანოტარო ინსტიტუტისადმი?

75. ამდენად, პროფესიული საიდუმლოების ფარგლების საკითხი კვლავ წარმოადგენს დისკუსიის საგანს. თუმცა, ამ თვალსაზრისით, შეიძლება გავიზიაროთ ჟილ რუზეს აზრი, რომელიც იცავს რა მკაცრი, მაგრამ პრაგმატული პროფესიული საიდუმლოების პრინციპს, წერს: „ამასთან, ნებისმიერ პრინციპს შეიძლება ჰქონდეს გამონაკლისი და არაფერია იმის საწინააღმდეგო, რომ პროფესიული საიდუმლოება, თუნდაც აბსოლუტურად აღიარებული ზოგიერთ იურიდიულ, თუ სამედიცინო პროფესიებში, უშვებდეს გამონაკლისს საერთო წესისაგან. ოდონდ ეს გამონაკლისები (მათი არსებობის შემთხვევაში) სწორად უნდა გამოიყოს და მათ უნდა აკონტროლებდეს მოსამართლე“ (47).

ვის მართებს საიდუმლოს შენახვა?

76. ნოტარიუსის გარდა, რომელსაც ანდობენ საიდუმლოებას, არსებობს გარკვეული რაოდენობა პირებისა, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან იგი. ამ პირთა კატეგორიას მიეკუთვნება ნოტარიუსის მემკვიდრე-შემცველები, რომელიც აგრძელებს აქტების შედგენას და ამდენად, იგი ვალდებულია დაიცვას ამ აქტების საიდუმლოება. ამასთან, იგი ვალდებულია დაიცვას აგრეთვე მისთვის გადაცემული მისი წინამორბედის დროინდელი საქმეებისა და გარკვეული რაოდენობის დოკუმენტების საიდუმლოებაც გარემოებების მიხედვით. ნოტარიუსის შემცველი-მემკვიდრე წარმოადგენს ნდობით აღჭურვილ პირს მისი წინამორბედის კლიენტების მიმართაც (48).

77. ნოტარიუსს საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება სიცოცხლის ბოლომდე იმ დღიდან, როდესაც ნოტარიუსი იღებს საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას, ხოლო ფუნქციების შეწყვეტისას მას ეს ვალდებულება მაინც რჩება იმ საქმეების მიმართ, რომლებიც შესრულდა ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნისას.

78. ნოტარიუსის თანამშრომლები მოვალენი არიან დაიცვან იგივე საიდუმლოება, რომელსაც იცავს თვით ნოტარიუსი. ისინი ნოტარიუსის უპირობო თანამშრომლებს წარმოადგენენ და ამდენად, მიხნეულია, მათ აკისრიათ ნდობის ვალდებულება სანოტარო ოფისის კლიენტების მიმართ (50).

79. მოწმეები, რომელთა მონაწილეობა აქტის შედგენაში აუცილებელია აქტისათვის ძალმოსილების მინიჭებისათვის, ეკისრებათ ნდობის ვალდებულება და, ამდენად, პასუხს აგებენ პროფესიული საიდუმლოების დაცვაზე (51).

80. უფრო დელიკატურია *საზიარო საიდუმლოების* საკითხი. თეორიულად საზიარო საიდუმლოების თეორია ნიშნავს იმას, რომ პროფესიული საიდუმლოება არ ითვლება დარღვეულად, თუ იგი გაენდობა ისეთ პირს, რომელსაც ასევე ეკისრება საიდუმლოების დაცვა. ასეთი თეორია მოითხოვს პირობებს: ის, რაც მთავარია პროფესიული საიდუმლოების დაცვაში, ეს ინფორმაციის გაუხმაურებლობაა. ამ მთავარი პირობის შესრულება ევალება საიდუმლოების მიმღებსაც.

81. სანოტარო პრაქტიკა ძალიან ხშირად მოითხოვს *ნოტარიუსთა შორის თანამშრომლობას*. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნოტარიუსები, რომლებიც ერთიდაიგივე მასალებზე მუშაობენ, წარმოადგენენ მესამე მიუკერძოებელ მხარეს. იმ შემთხვევაში, როცა ნოტარიუსებს შორის ინფორმაციის გაცვლა სერთო მასალების შექმნის აუცილებლობითაა ნაკარნახევი, პროფესიული საიდუმლოების დარღვევას აღვილი არა აქვს: რადგან კავშირი აუცილებელია, მეორე ნოტარიუსს ეკისრება ნდობის ვალდებულება პირველი ნოტარიუსის კლიენტის წინაშე. იგი ვალდებული ხდება დაიცვას საიდუმლოება საზიარო საიდუმლოების თეორიის გამოყენების გარეშე.

82. სანოტარო საქმიანობა უფრო და უფრო ხორციელდება ნოტარიუსთა შორის თანამშრომლობის პირობებში. ამის გამო ნოტარიუსები ხშირად მიმართავენ საზიარო საიდუმლოების თეორიას ერთმანეთს შორის კლიენტების შესახებ არსებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გამართლების მიზნით. ამ თეორიის გამოყენება კი საჭირო არ არის, რადგან აღნიშნულ შემთხვევებში არ დგას პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრობლემა, რადგან: საიდუმლოებას თავისი ხასიათის გამო ანდობენ ერთ ნოტარიუსს, რომელსაც აქვს კლიენტის მიმართ ნდობის ვალდებულება და, ამდენად, საიდუმლოება არ ექვემდებარება სხვისთვის გადაცემას, ან საიდუმლოება გადაეცემა ნოტარიუსს, რომელთანაც თანამშრომლობს პირველი ნოტარიუსი. ამ ბოლო შემთხვევაში განდობილ (მეორე) ნოტარიუსს ასევე ეკისრება იმ კლიენტის მიმართ ნდობის ვალდებულება, რომლის შესახებაც საქმისწარმოება გახსნა პირველმა ნოტარიუსმა. ჟილ რუზე კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ, რადგან თანამშრომლობის საწყოსებზე გაერთიანებული ნოტარიუსები ვალდებულნი არიან გაცვალონ ინფორმაცია მათ წარმოებაში არსებული საქმეებისა და მათთან დაკავშირებული სიმნელების შესახებ, პროფესიული საიდუმლოება არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას მოთანამშრომლე ნოტარიუსებს შორის, გარდა ცალკეული შემთხვევებისა (53).

83. საკითხს მთელი სიმკაცრით უნდა მოვეპყრათ, როცა საქმე გვაქვს ინფორმაციის გაცვლაზე *საზოგადოების ან მრავალდარგოვანი ქსელების პარტნიორებს* შორის: თუკი ჩვეულებრივი ამბავია, რომ ტექნიკური ინფორმაცია გაიცვალოს დარგის პროფესიონალებს შორის, გაერთიანებული სამსახურების პრაქტიკული საქმიანობა ძალზე გასხვავებულია სფეროების მიხედვით. აქ აუცილებელია, რომ კლიენტმა, როგორც კი გაიხსნება საქმისწარმოება,

განაცხადოს მაინც, რომ თანახმაა საქმის შესახებ მასალები მიეწოდოს სხვა პარტნიორებს, ან ქსელის წევრებს საჭიროებისამებრ.

პროფესიული საიდუმლოების დარღვევა

84. ა) ნოტარიუსი შეიძლება გამოძახებულ იქნას სასამართლოში მოწმის სახით. ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 458-ე მუხლი პროფესიული საიდუმლოების ვალდებულების დარღვევად არ მიიჩნევს იმ შემთხვევას, როცა ნდობის ვალდებულების მქონე პირი ვალდებულია წარდგეს სასამართლოს წინაშე მოწმის სახით. ნოტარიუსს, რომელიც შესძლებს სასამართლოს დაუმოწმოს ის ფაქტები, რომლებიც დაცულია პროფესიული საიდუმლოებით, არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა 458-ე მუხლის საფუძველზე. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიული საიდუმლოების მქონე პირს ამ საიდუმლოების გამჟღავნება შეუძლია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ სიმართლის დადგენის მიზნით. თუკი მოსამართლეს უფლება აქვს განსაჯოს ადგილი აქვს თუ არა პროფესიული საიდუმლოების დარღვევას, ნოტარიუსსაც უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, წარმოადგინოს თუ არა ამ მხრივ ის ფაქტები, რომელთაც ის ფლობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად. ნოტარიუსმა არ უნდა გაუმხილოს თავისი საიდუმლოება მოსამართლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოსამართლე იყენებს თავის უფლებას გადაწყვეტილების მისაღებად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შევანაცვლოთ ერთმანეთს მოსამართლისა და იმ პირის დანიშნულება, რომელიც საიდუმლოებას ფლობს, რაც შედეგად ეჭვქვეშ აყენებს ამ უკანასკნელის არსებობას. სასამართლო ძიება ამ მხრივ შეზღუდულია (54). საფრანკეთში, ნოტარიუსს გააჩნია „კანონიერი უფლება“ (სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცი) თავი შეიკავოს მართლმსაჯულებისათვის დახმარების გაწევისაგან, თუკი იგი გამოძახებულია მოწმედ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუკი ნოტარიუსი უარს ამბობს ფაქტების წარმოდგენაზე, იგი მოვალეა:

- გამოცხადდეს სასამართლოში, ან შესაბამისი იურისდიქციის მქონე უწყებაში.
- დადოს ფიცი, მოთხოვნის შემთხვევაში;
- შემოიფარგლოს პროფესიული საიდუმლოების პრინციპით (55).

85. ბ) კანონით შეიძლება ნოტარიუსს დაეკისროს საიდუმლოების გამხელის ვალდებულება.

საგადასახადო კანონმდებლობით ნოტარიუსს შეიძლება დაევალოს საგადასახადო ორგანოებისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომელიც ამ ორგანოებს დაეხმარება კლიენტისაგან გადასახადების ამოღებაში. ამჟამად ამ დებულებების განხილვა არ არის ჩვენი მიზანი. შეგვიძლია დავეყრდნოთ იმ ანგარიშებს და წინადადებებს, რომლებიც წარდგენილი იყო ლათინური ნოტარიატის XXII საერთაშორისო კონგრესზე ბუენოს აირესში (თემა I), სადაც ნოტარიატმა აჩვენა, რომ გადასახადების გამოანგარიშება, გადახდევინება და გადასახადების შეგროვება არ შეესაბამება სანოტარო ფუნქციის არსს, რომელიც მოითხოვს მოქალაქესა და ნოტარიუსს შორის ნობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ისეთ დიდ ფუნქციას, როგორცაა საგადასახადო-ფისკალური ამოცანების გადაწყვეტა, შეუძლია გახლიჩონ ასეთი ურთიერთობა. თუკი ნოტარიუსი მოემსახურება სახელმწიფოს ფისკალურ ინტერესების დაკმაყოფილებას, იგი ვეღარ შეძლებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მოქალაქეთა დახმარებას (56).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სახელმწიფოს ინტერესი – მოიპოვოს აუცილებელი სახსრები მისი ფუნქციონირებისათვის, არაფრით დგას იმ საჯარო ინტერესზე მაღლა, რაც ნიშნავს ინსტიტუტების კარგ მუშაობას, კერძოდ იმ

ინსტიტუტებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ პრევენტული მართლმსაჯულების განხორციელებას (57).

86. გ) *კანონით შეიძლება დადგინდეს საიდუმლოების გაცხადების იმპერატივი. ეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას.*

როგორც აბოსლუტურად უნდა იყოს პროფესიული საიდუმლოება, მას არა აქვს თავისთავადი ღირებულება. იგი არსებობს კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით. ეს ინტერესები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სხვა ინტერესებს და ამ შემთხვევაში სახელმწიფოც, უფრო სწორად, კანონმდებელი, ვალდებულია განსაზღვროს, რომელს მიანიჭოს უპირატესობა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა ჯგუფისაგან დანაშაულებრივი ქმედებებით მოპოვებული ქონების ამოღებასა და ფულის გათეთრების ფაქტის გამოაშკარავებას. ფულის გათეთრება ხორციელდება საფინანსო სისტემის მეშვეობით, ამასთანავე, ფული თეთრდება სხვა საშუალებებითაც – სათამაშო ბიზნესისა და დიდი ღირებულების მქონე საგნებით ვაჭრობის საშუალებით (ანტიკვარიატი, ხელოვნების ნიმუშები, უძრავი ქონება, მანქანები, გემები და ფუფუნების სხვა საგნები). ევროპის 1991 წლის 10 ივნისის დირექტივების დამატება, რომელიც ეხება „კაპიტალის გათეთრების მიზნით საფინანსო სისტემის გამოყენების თავიდან აცილების ღონისძიებებს“, ევროპარლამენტის 1999 წლის მარტის თვის რეზოლუციის თანახმად, სვამს წინადადებას დირექტივის მოქმედების არეალში ჩართული იყოს „ისეთი სამსახურები, რომლებიც შესაძლებელია ჩათრეულ იქნან კაპიტალის გათეთრებაში, ან ბოროტად გამოყენებულნი „გამთეთრებლების“ მიერ, როგორცაა უძრავი ქონების სააგენტოების მოხელეები, ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრენი, აუქციონის შემფასებლები, კაზინოები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, ფულის გადამზიდები, ნოტარიუსები, ბუღალტრები, ადვოკატები, საგადასახადო მრჩეველები, აუდიტორები – იმ მიზნით (...), რათა მათზე გავრცელდეს ახალი მითითებანი. ამ პროფესიათა განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით და მათი სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული საიდუმლოების სრული დაცვით“. ფულის გათეთრების გამოაშკარავება კანონმდებელმა უნდა დაავალოს არა მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებს, არამედ იმ პირებსაც, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში *ახორციელებენ კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, კონტროლს, ან კონსულტაციებს*. ამასთან, ეს პირები ვალდებული არიან დაიცვან მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოება. ამდენად, ჩვენ უკვე ვხედავთ წინააღმდეგობას (შეუთავსებლობას) საჯარო ინტერესსა, რომლის მიზანია დაასრულოს მიკვლევა ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში *ფულის გათეთრების ოპერაციების გამოსაშკარავებლად და კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, რომელიც იცავს პროფესიულ საიდუმლოებას*. კანონმდებლებს მიაჩნიათ, რომ გათეთრების გამოაშკარავება უზენაესი სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს და მას აქვს უპირატესობა საიდუმლოებასთან შედარებით. აქედან გამომდინარე, საიდუმლოება ადვილს უთმობს გამჟღავნებას. კანონმდებელთა არჩევანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა მიმართ კრიტიკულად ვერ მივუდგებით. თუმცა, ნოტარიუსს მართებს, ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ საიდუმლოების გამხელის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ბოროტად იყენებენ საიდუმლოების ინსტიტუტს, შესაბამისად, გამჟღავნების ვალდებულება არ უნდა გავრცელდეს სხვა პირთა მიმართ. კანონმდებელი ვალდებულია გაგებით შეხვდეს ნოტარიუსთა ამ სწრაფვას, რადგან ღირებულებათა იერარქიის ფორმირებისას შექმნის დაგვირგად შენარჩუნდეს ყველა ღირებულება.

პროფესიული საიდუმლოება შენარჩუნებულ იქნება, თუკი გამონაკლისი – საიდუმლოს გამჟღავნება – მკაფიოდაა განსაზღვრული. შეიძლება ასე?

იმ დროს, როცა ნოტარიუსი ვალდებულია გაამხილოს ის, რაც იცის, მიემართავეთ ობიექტურ კრიტერიუმს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ გამონაკლისი. მაშინ, როცა დგება გამჟღავნების ვალდებულება, როგორც კი ნოტარიუსს ეჭვები გაუჩნდება, შესაძლებელია, შეგვეშინდეს კიდევ, რომ პროფესიულმა საიდუმლოებამ დაკარგოს ყოველგვარი ნდობა, რადგან ამით პროფესიული საიდუმლოება ხდება შეფარდებითი. რას ადგენს ამის შესახებ კანონმდებლობა?

87. ევროპის 1991 წლის 10 ივნისის დირექტივა და მისი დამატების პროექტის მე-6 მუხლის თანახმად, დაწესებულებები და პირები, რომელთაც ეხება დირექტივა, ვალდებული არიან საკუთარი ინიციატივით მიაწოდონ ამ უწყებებს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელსაც, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს კაპიტალის გათეთრებასთან. დავიმახსოვროთ სიტყვები: „შესაძლო“ „კავშირი“. ამდენად, საქმე გვაქვს ეჭვების შეტყობინებასთან.

88. ბელგიის 1993 წლის 11 იანვრის კანონი (ცვლილებები შეტანილია 1998 წლის 10 აგვისტოს კანონით) ავალდებულებს ნოტარიუსს გაამჟღავნოს „ისეთი ფაქტები, რომლითაც შეიძლება „კაპიტალის გათეთრების“ დადასტურება. მოტივის შინაარსი მიგვითითებს, რომ კანონმდებელმა მოისურვა დააზუსტოს განსხვავება საფინანსო ორგანიზაციებს, რომელიც ვალდებულია გადასცეს ინფორმაცია თუნდაც მცირე ეჭვის შემთხვევაში, და იმ პირებს შორის, რომელთა ძირითადი ფუნქციაა პროფესიული საიდუმლოების დაცვა. ამ პირთა ვალდებულებები რამდენამდე შემცირდა: პირები, რომლებიც იცავენ პროფესიულ საიდუმლოებას, ვალდებული არიან შეატყობინონ მხოლოდ თავიანთი „განსაკუთრებული (მტკიცე) ეჭვის“ შესახებ. ამ განსხვავების შედეგად წარმოიქმნება პროფესიული საიდუმლოების შეფარდებითობა, რადგან იმ დროს, როცა კანონი ადგენს მისი გაცხადების ვალდებულებას, ეჭვი მიიმართება მხოლოდ განსაზღვრული პირების მიმართ (...). ეს კი ნიშნავს ნდობის ვალდებულების აუცილებელ შენარჩუნებას სხვა დანარჩენი პირების მიმართ საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით. (...).

89. საფრანგეთის 1998 წლის 2 ივლისის კანონის საფუძველზე ნოტარიუსი შეყვანილია 1990 წლის 12 ივლისის კანონის პირველი მუხლით დადგენილ პირთა სიაში. უფრო ადრე, ამავე კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსები შედიოდნენ იმ პირთა სიაში, რომელთაც კანონი ავალდებულებდა განცხადების გაკეთებას იმ ოპერაციების შესახებ „რომელთაც ისინი გაეცნენ და, სადაც ლაპარაკია იმ ფულზე, რომელთა წარმოშობის წყაროსაც ისინი იცნობდნენ, ან რომლებიც წარმოადგენდნენ ჩამოთვლილ სამართალდარღვევათაგან ერთ-ერთს“. 1998 წლის 2 ივლისის კანონის ძალაში შესვლიდანვე, ნოტარიუსები ვალდებული არიან განცხადება გააკეთონ ადმინისტრაციული სამსახურის (თღ ჩ I) მიმართ ყველა იმ საეჭვო ოპერაციათა შესახებ, რომელთაც შესაძლოა კავშირი ჰქონოდა კონტრაბანდასთან, ან ორგანიზებულ დანაშაულთან. ნოტარიუსის უმაღლესი საბჭოს 1999 წლის 16 ივლისის ცირკულიარში ნათქვამია, რომ ეჭვის შესახებ განცხადების გასაკეთებლად საფუძველი ბევრად უფრო ფართოდ უნდა იყოს მოცემული, ვიდრე 1996 წლის 13 მაისის კანონით დადგენილი ფულის გათეთრების შესახებ განმარტება. ამ უკანასკნელში ლაპარაკია „კრიმინალსა, ან დანაშაულებრივ ქმედებაზე“. ცირკულიარი ამბობს: „სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი (ნოტარიუსები) თღ ჩ I -ში თავიანთ განცხადებაში მიუთითებენ ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც ეჭვს ბადებს, ან ქმნის ეჭვის გაჩენის საფუძველს

(. . .), მიუხედავად იმისა, ჩანს თუ არა კავშირი ნარკობიზნესთან, ან ორგანიზებულ დანაშაულთან“. ამდენად, ფრანგული სისტემა მსგავსია ბელგიური სისტემისა, მაგრამ უფრო წინ მიდის: იგი არ იძლევა განსხვავებას მარტივ ეჭვსა და დასაბუთებულ ეჭვს შორის, ხოლო ჩ.შ. მოითხოვს, რომ გაცხადდეს ყველა საეჭვო ოპერაცია, თუნდაც არ არსებობდეს კავშირი მათსა და ნარკოტიკების კონტრაბანდსა, თუ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ქმედებას შორის (59).

90. *გერმანიაში*, 1993 წლის 25 ოქტომბრის კანონი მძიმე დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების გამორკვევის შესახებ (.ჭ.), შეეხება ნოტარიუსებს მხოლოდ ორ შემთხვევაში: ნაღდი ფულის გადაცემის შემთხვევაში და ფულის მიმოქცევის საბაბით კონსიგნაციის ანგარიშის გახსნის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, თუკი თანხა აღწევს 20.000 -ს, ნოტარიუსი ვალდებულია ჩაინიშნოს დეპოზიტის პირადობის დამადასტურებელი მონაცემები და შეინახოს ისინი სასამართლო ორგანოებისათვის. იგი ვალდებულია მონაცემები შეინახოს ექვსი წლის ვადით. მეორე შემთხვევაში (საკონსიგნაციო ანგარიშის გახსნა მესამე პირის ანგარიშისათვის), ნოტარიუსი ვალდებულია აცნობოს ბანკს იმ პირის მონაცემები, რომელსაც უფლება აქვს დეპოზიტზე (60).

91. *ჰოლანდიაში*, კანონმდებელი არავითარ სპეციფიკურ ვალდებულებას არ აკისრებს ნოტარიუსს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სფეროში ნოტარიუსის როლი შეთანხმებულია, ერთის მხრივ, ნოტარიატის ხელმძღვანელ ორგანოებსა () და, მეორეს მხრივ, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს, გენერალურ პროკურორებსა და ადმინისტრაციულ ორგანიზაციას – ჩ.დ.1-ს („საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი“) შორის. ასეთი შეთანხმება შედეგად გვაძლევს შემდეგი სახის დეონტოლოგიურ დებულებას: „როცა ნოტარიუსი ფლობს ისეთ მონაცემებს, რომლებიც შედის -ს მოთხოვნათა სიაში, ან როცა მისთვის ცნობილია იმ ფაქტების, ან გარემოებების შესახებ, რომლებიც მასში საკმაოდ დიდ ეჭვს ბადებს, რომ ჩადენილია, ან მზადდება იურიდიული თვალსაზრისით უმძიმესი დანაშაული და რომ, ამას გარდა იგი ფლობს მონაცემებს, რომ ჩადენილი, ან მომზადებული დანაშაული მიეკუთვნება ორგანიზებული დანაშაულის კატეგორიას, სანოტარო სამსახურის ღირსებისა და ავტორიტეტის პრინციპი მოითხოვს, რომ ნოტარიუსმა აცნობოს თავის ეჭვის შესახებ (. . .)“ (სამსახურებრივი მოვალეობებისა და დეონტოლოგიის მეორე დებულების მე-2 აბზაცის თავისუფალი თარგმანი). წესი მოითხოვს, რომ პროცედურა ჩატარდეს „საფეხურებრივი გეგმის“ შესაბამისად, ე. ი. გაეცნოს დებულებას „ნდობით აღჭურვილი ნოტარიუსი“, გამოიტანოს დასკვნა, იტყვის თუ არა ამ მიმართებით უარს თავის სამსახურზე (მოვალეობაზე) ეჭვის არსებობის შემთხვევაში და უნდა გადასცეს თუ არა ინფორმაცია შედარებით დიდი ეჭვის შემთხვევაში. ინფორმაციის გადაცემა ხდება ჩ.დ.1-ს ადმინისტრაციულ ორგანოში სპეციალურ ფორმულარის ად ჰოც. -ის მეშვეობით (61).

92. კანონმდებლობების მიხედვით, ნოტარიუსი ვალდებულია გადასცეს ობიექტური ფაქტები (გერმანია), ან ეჭვების შესახებ ინფორმაცია (ბელგია, საფრანგეთი და ჰოლანდია). თუკი აუცილებელი გახდა პროფესიული საიდუმლოების გამონაკლისების უფრო ნათლად შეანსაზღვრა, ცხადია, ეჭვების შესახებ ინფორმაციის გადაცემა პრობლემას შეგვიქმნის. ძნელად წარმოსადგენია დაუშვავთ, რომ ნოტარიუსმა გადასცეს საიდუმლო მასალები, რომლებიც საბოლოო ჯამში, ტოვებს რაღაც სუბიექტურ შთაბეჭდილებას. ბელგიის სახელმწიფო საბჭო აკრიტიკებს „კაპიტალის გათეთრების“ და „ფაქტის, რომელიც დასაბუთების საშუალებას იძლევა“-ს მნიშვნელობების ბუნდოვან ხასიათს. იგი შენიშნავს: „თუ მოვახდენთ ამ ორ ბუნდოვან მნიშვნელობათა შედარებას იმ

წესებთან, რომელთაც განსაზღვრავს პროექტი (სხვათაშორის, იმ სანქციებთან დაკავშირებით, რომელთაც იყენებენ მოხლეების მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო), იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პროექტი მაინც ირჩევს მარტივი ეჭვების გამჟღავნების ტენდენციას, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი იძლევა მეტ-ნაკლებად შემამსუბუქებელ მნიშვნელობებსა და კომენტარებს მოტივაციის განმარტებისას. საბოლოო ჯამში, ისეთი დიდი და დაუდგენელი საზღვრების მქონე სფეროში, რომელსაც წარმოადგენს კაპიტალის გათეთრება, პროექტი მომსახურე პირებს ავალდებულებს (მუხლი 2 ბის) გაამჟღავნონ ყველაფერი ის, რაზედაც მათ ეჭვი აქვთ და არა მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მამხილებელი ფაქტები. ყოველივე ეს იმდენად მტკიცეაა ჩამოყალიბებული, რომ პროექტი აუქმებს სისხლის სამართლის სასჯელის ზოგიერთ სახეს იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევას და შემოაქვს ახალი დისციპლინური სანქციები, თუმცა მკაცრი, ინფორმაციის მიწოდების შესახებ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (62).

93. საჭიროა კი ველოდოთ უფრო უარესს პროფესიული საიდუმლოებისათვის? *მიაწვდის ნოტარიუსი – საფრანგეთსა და ბელგიაში – ნებისმიერ ინფორმაციას, როგორც კი გაუჩნდება ეჭვი? რა თქმა უნდა, არა.* რადგანაც, როგორც ბელგიაში, ისევე საფრანგეთში, ნოტარიუსი თავს არიდებს სამოქალაქო, სისხლის სამართლის თუ დისციპლინარულ პასუხისმგებლობას მიუხედავად იმისა, რომ მას გაკეთებული აქვს განცხადება კეთილსინდისიერების შესახებ (ბელგიაში: 1993 წლის 11 იანვარს კანონის მე-20 მუხლი, 1998 წლის 10 აგვისტოს კანონით მიღებული დამატება; საფრანგეთი: 1990 წლის 12 ივლისის მე-8 მუხლი). შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამოთქმა „კეთილსინდისიერება“ სათავეს იღებს „კანონიერი ნდობისაგან“ (ან „კანონიერი რწმენისაგან“). „კანონიერი ნდობის“ პრინციპი შეიძლება განსაზღვრულ იქნას ისევე, როგორც პრინციპი, რომლის მიხედვითაც კანონიერი რწმენა სამართლის ობიექტისა (უფლებების არსებობისას) სრულდება მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მოქმედებს ამ რწმენის მიხედვით (63). ნოტარიუსი, რომელსაც აქვს „კანონიერი ნდობა“, შეიძლება იყოს მომსწრე დანაშაულებრივი ქმედებისა და სცდებოდეს – კეთილსინდისიერია: ის არ იმსახურებს დასჯას. მაგრამ კანონიერი ნდობის არსებობისათვის არ კმარა მხოლოდ სუბიექტური რწმენა („მე არ ვიცოდი“); მისი კეთილსინდისიერი რწმენა ობიექტურიც უნდა იყოს („ვალდებული არ ვიყავი, მცოდნოდა“). ამდენად, ის ნოტარიუსი, რომლის შეცდომა, შესაძლოა, საპატიოა, დაუსჯელობაზე ამყარებს იმედს: არ არის ვალდებული იცოდეს იმ პირმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სიმართლე გაეგო, მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს. აქედან გამომდინარე, გამოთქმა „კეთილსინდისიერი“ *ნოტარიუსს კიდევ ავალდებულებს მოიკვლიოს, მოიძიოს.* ასეთი ვალდებულების შესრულებით ნოტარიუსი შეძლებს თავის მართლებას.

94. *დ. დაბოლოს, ზოგიერთ ინდივიდუალურ თვისებას ძალუძს პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნების გამართლება.*

თუკი ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი ეჭვის ქვეშ დგება, შეიძლება კი მივიჩნიოთ, რომ ნოტარიუსის დაცვის უფლება უფრო მაღლა დგას საიდუმლოების შენახვის ვალდებულებაზე? და გამოვავაშკარავოთ ის ფაქტები, რომლებიც პროფესიული საიდუმლოებითაა დაცული? პასუხი დადებითია: პასუხისმგებაში მიცემისას ნოტარიუსი იძულებულია გამოიყენოს: „*პასუხის გაცემის უფლება*“ მომთხოვნის წინააღმდეგ, რომელიც ამით კარგავს უფლებას ისარგებლოს სანოტარო საიდუმლოების უპირატესობით. ეს „*პასუხის გაცემის უფლება*“ ეყრდნობა ისეთ უფლებას, რომელიც გამოიყენება სიმართლის

დადგენისას და რაც აღიარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დეკლარაციის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფით, და, განსაკუთრებით დაცვისა და დაცვის თანაბარი საშუალებების გამოყენების უფლებით (...) (64).

95. *სასამართლო პროცესი პონორარის გადახდის თაობაზე*, რომელსაც ნოტარიუსი, შესაძლოა, აღძრავს თავისი კლიენტის, ან მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ, უფლებას აძლევს მას წარადგინოს ვალდებულებების შესრულების დამამტკიცებელი მასალები.

96. *ნებისმიერი მხარისათვის კონსულტაციის გაწევა*, რომელიც ნოტარიუსის ვალდებულებაა, შეიძლება წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს საიდუმლოების დაცვის ვალდებულებასთან, რომელიც ნოტარიუსს აკისრია მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიმართ. თუ საქმე ეხება იმას, რომ ხელი შეეშალოს ერთერთი მხარის არაკანონიერ ქმედებას მეორე მხარის მიმართ, კანონი ადგენს კონსულტაციის გაწევის ვალდებულებას. ამდენად, ნოტარიუსი ვალდებულია სრულად დაადგინოს სიმართლე, რადგანაც მან შემდგომში კონსულტაცია უნდა გაუწიოს მხარეს სანოტარო დოკუმენტის შედგენის მიზნით. გვთავაზობენ შემდეგ მაგალითს: ნოტარიუსი ანაწილებს მემკვიდრეობას. მისთვის ცნობილია, რომ მემკვიდრეთაგან ერთ-ერთს რაღაც ნაწილი გადაეცა ნაჩუქრობით, მაგრამ არ აცხადებს ამის შესახებ, რადგან ამტკიცებს, რომ სხვა მემკვიდრეებმაც ისარგებლეს მსგავსი საჩუქრით. ცხადია, ნოტარიუსს უფლება არა აქვს გააფორმოს აქტი გაყოფის შესახებ; იგი ვალდებულია უარი თქვას თავის სამსახურზე. მაგრამ აქვს თუ არა მას უფლება, დაადგინოს, თუ რა მიიღო თითოეულმა მხარემ, რათა კონსულტაცია გაუწიოს მხარეებს? ცხადია, კი, მაგრამ კანონის ტექსტი შენიშვნასაც იძლევა - საიდუმლოების დაცვის პრინციპიდან გადახვევა ერთადერთი საშუალებაა უკანონობის თავიდან აცილებისა პროპორციულობის პრინციპის დაცვის მიზნით; თავიდან ასაცილებელი უკანონო ქმედება თავისი მნიშვნელობით იმდენივეს მაინც უნდა იწონიდეს, რასაც თვით გამჟღავნებელი საიდუმლოება.

დისკრეციული ვალდებულება

97. თავისი მიდგომით, ქცევითა და მოქმედებით, ნოტარიუსი უნდა იწვევდეს ნდობას როგორც ისეთი ადამიანის მიმართ, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება ყველა იმ კონფიდენციალურ ინფორმაციასა თუ დოკუმენტს, რომელსაც მას მიახლოებენ. ასეთ კონფიდენციალობის დაცვას მთელი სისრულით უზრუნველყოფს პროფესიული საიდუმლოება, რომლის დაცვაც ევალება ნოტარიუსს. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი საიდუმლოება მოიცავს მხოლოდ იმას, რაც *კონფიდენციალურია* და რაც ნოტარიუსს *გაენდო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში*. ამ ფარგლებში და ისე, რომ საიდუმლო ბოროტად არ იქნას გამოყენებული დანაშაულებრივი მიზნებისათვის, საიდუმლოება შეიძლება იყოს აბსოლუტური და ზოგადი. იბადება კითხვა: როგორია ეს კონფიდენციალობა ამ საზღვრებს გარეთ? ამ შემთხვევაში *ნოტარიუსს ეკისრება დისკრეციული ვალდებულება*.

98. მიუთითებენ, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება საიდუმლოს შენახვის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუკი იგი *მიზნის გარეშე ავრცელებს ინფორმაციას*, რომელსაც იგი ფლობს, მიუხედავად იმისა, *დაცულია თუ არა ეს ინფორმაცია პროფესიული საიდუმლოებით*. ნოტარიუსი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ან მის ფარგლებს გარეთ, ეცნობა დიდი მოცულობის ინფორმაციას ადამიანებისა და მათი ქონების შესახებ. ხშირად, ასეთი ინფორმაცია

არ წარმოადგენს საიდუმლოებას (კონფიდენციალურ ინფორმაციას), რადგან ნოტარიუსი ამ ინფორმაციას იღებს საჯარო რეესტრებიდან (უძრავი ქონების რეესტრი, სამეწარმეო რეესტრი, ოფიციალური ჟურნალი და ა.შ.), რომელთა ნახვა შეუძლია ყველას. ნოტარიუსს კი ეს მონაცემები სჭირდება აქტების მოსამზადებლად, თუ მონაცემთა შესაგროვებლად და კონსულტაციის გასაწევად. იგი ამ მონაცემებს აცნობს მხარეებს, ან ავრცელებს თავის კოლეგებს შორის, თუ ამას მოითხოვს აუცილებლობა. თუ ინფორმაციის გავრცელებას არავითარი დანიშნულება არა აქვს, მან (ინფორმაციის გავრცელებამ) შეიძლება ზიანი მიაყენოს იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც ის შეეხება. მაგალითად: ნოტარიუსი ამზადებს ნასყიდობის აქტს და მონაცემების მისაღებად მიმართავს უძრავი ქონების რეესტრს; რეესტრიდან ის იგებს, რომ გამყიდველს აქვს ვალი და ასკვნის, რომ ნასყიდობის ფასი სრულებით საკმარისია ამ ვალის და იპოთეკის მოხსნისათვის. იგი ამის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის მყიდველს. ასეთი ინფორმაცია კვალიფიცირდება, როგორც არაფრის მომცემი გარდა იმისა, რომ მას შეუძლია ჩირქი მოსცხოს, ან ზიანი მიაყენოს თვით გამყიდველის რეპუტაციას.**

99. ამბობენ, რომ პროფესიული საიდუმლოება და საიდუმლოს დაცვის დისკრეციული ვალდებულება ერთმანეთისაგან განსხვავდება ინტერესთა ზოგადი ხასიათით, რომელსაც იცავს პროფესიული საიდუმლოება და ინტერესთა კერძო ხასიათით, რომელსაც იცავს საიდუმლოს დაცვის დისკრეციული ვალდებულება. ეს აზრი შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ. საიდუმლოს დაცვის დისკრეციული ვალდებულებით იქმნება სახე: სახე სერიოზულობის, აზროვნების, თავშეკავებულობის, პატივისცემისა და ზომიერებისა. მაშასადამე, კვლავ დგას ნდობის საკითხი. ყბედი და ლაქლაქა ნოტარიუსი, რომელიც ჰყვება პიკანტურ ისტორიებს და ამით ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჭორების გავრცელებას, ვერ მოიპოვებს ისეთ ნდობას, რაც სჭირდება თავის პროფესიას. საიდუმლოს დაცვის დისკრეციული ვალდებულება განაპირობებს სანოტარო საქმიანობის კარგად ფუნქციონირებას. მაშასადამე, საქმე ეხება საჯარო ინტერესს, რომელიც, ცხადია, ემატება იმ კერძო ინტერესებს, რომელთაც ის იცავს.

100. მართლაც, პროფესიული საიდუმლოება და საიდუმლოს დაცვის დისკრეციული ვალდებულება ახლოს დგანან ერთმანეთთან. ისინი ავსებენ ერთმანეთს და ემსახურებიან ერთი და იგივე ინტერესებს. მხოლოდ ბევრ ქვეყანაში კანონმდებელი საჭიროდ თვლის პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას, რადგან კონფიდენციალობის დაცვა მნიშვნელოვანი პირობაა იმ სამსახურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რომელთაც უნდა მიმართონ მოქალაქეებმა. პროფესიული საიდუმლოება მოითხოვს საიდუმლოს მიძღვრულ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში მათთვის განდობილი საიდუმლო ინფორმაციის დაცვას (...).

VII. პასუხისმგებლობა

101. არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ ანაზღაურდეს ზიანი, რომელსაც აყენებს იურიდიული მომსახურების შემსრულებელი. ეს არის იმ დებულებათა გამოყენების შედეგი, რომელთაც ითვალისწინებს ყველა კანონმდებლობა და, რომელთა არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა ანაზღაურდეს ზიანი, გამოწვეული კონტრაქტის არაჯეროვანი შესრულებით, ან

დელიქტით, ან ქვაზი-დელიქტით. აი, რას ამბობს ამის შესახებ 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლი: „ერთი ადამიანის ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ზიანი მოაქვს მეორე ადამიანისათვის, აკისრებს ვალდებულებას იმას, ვისი შეცდომითაც აღმოჩნდა იგი გამოსასწორებელი“. უფრო სწორად, უნდა ითქვას: *საზოგადოებრივი ფუნქცია აკისრებს პირად პასუხისმგებლობას იმას, ვინც მას ასრულებს.*

102. *და მაინც, რატომ პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების შემთხვევაში?* იმიტომ, რომ ასეთი საზოგადოებრივი ფუნქცია მისი აღსრულებისათვის საჭიროებს ნდობას. „ნდობის მისია ნოტარიატისათვის ძირითადია (. . .); ნოტარიუსმა ნდობით უნდა უპასუხოს იმ ხელისუფლებას, რომელმაც მიანდო მას საზოგადოებრივი ღირსების დაცვა ისევე, როგორც იმ პირებს, რომლებმაც მას მიანდეს თავიანთი ინტერესების დაცვა; ნდობა წარმოჩნდება ნოტარიუსის ნებისმიერ ქმედებაში, განურჩევლად იმისა, ასრულებს თუ არა იგი საჯარო თანამდებობის პირის, იურისკონსულტის, თუ ბიზნესმენის ფუნქციებს. არცერთ შემთხვევაში მისი მომხმარებლები მას არ მიიჩნევენ კერძო პირად. აქედან გამომდინარე, „სანდო ადამიანი“ პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუკი მან იმ ნდობას უღალატა, რაც მასში ჩადეს“. – *წერენ პ. არმელი და რ. ბურსო თავიანთ ნაშრომის წინასიტყვაობაში „ნოტარიუსთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის წყაროები და ხასიათი“ (67).* ნოტარიუსის ამოცანების შესრულებაში ნდობის ძირითადი მნიშვნელობა უნდა ვეძებოთ სწორედ იმ საფუძვლებში, საიდანაც იღებს კანონმდებლობა (კანონმდებელი) თავისუფალი პროფესიის შემსრულებლის სტატუსს. თავისუფალი ნოტარიატის რომელიც თავისუფალი პროფესიის სახით ფუნქციონირებს, აქვს შინაგანი ვალდებულება თავისი სამსახურებრივი ფუნქციის შესრულებისას. იგი მოიძიებს თავის შედეგებს, მაგრამ საპირისპიროსაც იღებს ხოლმე. კარგი კონსულტაცია ფული ღირს. ცუდი კი უნდა გამოსწორდეს. კარგი რეპუტაცია წარმატების საწინდარია; სუსტ რეპუტაციას შესაძლოა ზარალი მოჰყვეს. ნდობა, სინამდვილეში, ეძლევა მხოლოდ პროფესიონალს, *რომელიც თავისი გაღებული სამსახურით შედეგებს მოიძიებს. მოპოვებული ნდობა და გაღებული პასუხისმგებლობა ქვაკუთხედია თავისუფალი პროფესიის შენებისას.*

103. ამდენად, ნოტარიუსი პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ამართლებს ნდობას: *სისხლის სამართლის, ან დისციპლინური პასუხისმგებლობით, როდესაც იგი არღვევს კანონს, ან პროფესიული ეთიკის ნორმებს; სამოქალაქო პასუხისმგებლობით, როცა თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით ზიანს აყენებს იმ პირებს, რომელთაც უფლება აქვთ დაეყრდნონ ნოტარიუსის სერიოზულობას, ცოდნასა და საიდუმლოს შენახვის უნარს. სისხლის სამართლის, ან დისციპლინური პასუხისმგებლობა სპეციფიკური არ არის: იგი ვრცელდება ყველა საჯარო თანამდებობის პირის მოქმედებაზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის*

გავრცელება კი საჯარო ფუნქციის მქონე ნოტარიუსთა მოქმედებაზე – განსაკუთრებულია. სწორედ ამიტომ ჩვენ მასზე შევაჩერებთ ჩვენს ყურადღებას.

104. ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი *ავეთქების სისწრაფით ვითარდება*, რასაც განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის უდიდესი კომპლექსი, რომელშიც უწევს ნოტარიუსს საქმიანობა. ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის დემოკრატიზაციამ და მომხმარებლის უფლებების დამკვიდრებამ განაპირობა ნორმების გაჩენა, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ნებისმიერი დახმარების გაწვევის შესაძლებლობა. დაბოლოს, ინგლისურ-საქსონური და უფრო ამერიკული კულტურისათვის, სადაც სულ ოდნავი შეცდომაც კი საკმარისია, რომ განურჩევლად ზარალის სიდიდისა, შეცდომის დამშვების წინააღმდეგ ამოქმედდეს მთელი მანქანა „დაზარალებულის“ სასარგებლოდ. სრულიად არ არის მოულოდნელი, რომ პასუხისმგებლობის თაობაზე სასამართლო საქმეთა რიცხვი აშკარად მატულობს. ნოტარიატმა არ უნდა სცადოს გაექცეს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც აუცილებლად თან ახლავს ნდობის მისიას, არამედ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა თავიდან აიცილოს სისტემის კომპრომეტაცია ე. წ. ზარალის ბოროტად გამოყენების გამო.

105. როგორია ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიზეზი? ევროპულ კანონმდებლობაში ყველგან პასუხისმგებლობის მიზეზად ცნობილია ტრილოგია შეცდომა – ზარალი – შეცდომასა და ზარალს შორის მიზეზობრივი კავშირი. შეცდომა შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ხასიათის (ხელშეკრულების ცუდად შესრულება), ან ქვაზი-დელიქტური (*პროფესიული ვალდებულებების დაუდევარი შესრულება*), ან კიდევ დელიქტური (კანონის მოთხოვნათა დარღვევა). შეცდომათა სახებში განსხვავების დადგენა აუცილებელია, რათა დადგინდეს ნოტარიუსის ვალდებულებათა მოცულობა. იგი საერთო ჯამში უფრო ფართოა, ვიდრე შემსრულებელი საჯარო მოხელისა. განსხვავება საშუალებას იძლევა აგრეთვე განისაზღვროს მტკიცების საშუალებანი, დაკვალიფიცირდეს შეცდომა, განისაზღვროს სასჯელის სიმძიმე და სახე, განისაზღვროს თანადებიტორთა სოლიდარობა, და ბოლოს, განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის განხილვისას. განსხვავების დასადგენად საჭიროა საკითხის უფრო ღრმად შესწავლა, რაც აშკარად სცილდება ჩვენი მიზნის ფარგლებს. საფრანგეთში, როგორც ჩანს, განსხვავება უკანა პლანზეა გადატანილი ნოტარიუსის მიერ კონსულტაციის გაწვევის ვალდებულების უპირატესობისა და გაფართოების გამო: იურისპრუდენციაში უმთავრესად გამოყენებულია ცნებები: „თანამდებობრივი“, ან „ფუნქციონალური“ პასუხისმგებლობა („სტატუტაირე“ და „ფონცტიონნელლე“).

106. უფრო მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ვალდებულება შედეგის მიღწევაზე და ვალდებულება საშუალებების გამოყენებაზე. დავის შემთხვევაში ვალდებულება შედეგის მიღწევაზე ნოტარიუსს ავალდებულებს დაასაბუთოს, რომ შედეგის მიღწევა შესაძლებელია ან, რომ ნაკლოვანი შესრულება მისი ბრალი არ არის, რადგან მას შეუძლია მიუთითოს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე. საერთოდ,

თავისუფალი პროფესიონალი ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს თვით პიროვნებასა და კლიენტის ქონებას. ეს არის ვალდებულება საშუალებების გამოყენებაზე: შედეგი შეიძლება არ იყოს გარანტირებული. თუმცა, ნოტარიუსი შეიძლება ვალდებული იყოს შედეგზე, თუკი იგი კანონით ვალდებულია დაიცვას ზიგიერთი ფორმა, ან აქტში ჩართოს ცალკეული განმარტებანი, რათა აქტს ჰქონდეს ძალმოსილება (69). შევნიშნავთ, რომ საზოგადოების მოლოდინი ხშირ შემთხვევაში იმ გარანტიებს ეყრდნობა, რომელსაც ნოტარიუსი იძლევა და იმას, რომ თვით პროფესია ყოველთვის ცდილობს იყოს თავისი პროფილით ისეთი ინსტიტუტი, რომელიც იძლევა სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტიას. ამდენად, კლიენტურის მოლოდინი უნდა გამართლდეს და ხაზი უნდა გაესვას იმ გარანტიებს, რომელთაც იძლევა სანოტარო სამსახური. მაგრამ, ეს კლიენტები არ უნდა გახდნენ თავიანთი გულწრფელობის მსხვერპლნი. როგორც ორგანიზებული სამსახური, ისე ცალკეული ნოტარიუსებიც ვალდებული არიან გაითვალისწინონ, რომ ისინი არ იძლევიან ყოველგვარი რისკისაგან უზრუნველყოფილ სამსახურს. ფრთხილი ნოტარიუსი ყოველთვის შეიტანს სანოტარო აქტში იმ პირობებს, რომელთაც ის გამოიყენებს ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი იგი იძულებული გახდება პასუხი აგოს კლიენტის კანონიერი მოლოდინის გაუმართლებლობის გამო.

107. *ნოტარიუსმა შეიძლება პასუხი აგოს მესამე პირებისათვის მიყენებული ზარალის გამო*, ე. ი. იმ პირებისათვის მიყენებული ზარალის გამო, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სანოტარო აქტის მონაწილეებს. ვინაიდან ნოტარიუსი, როგორც საჯარო თანამდებობის პირი, ასრულებს სოციალურ ფუნქციას, ჰოლანდიის უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ ნოტარიუსს მართებს გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფხიზლე, როცა საქმე ეხება მესამე პირის ინტერესებს. ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა სასამართლოს პროცესს, სადაც კრედიტორები უჩიოდნენ გაკოტრებულ ბანკს. ნოტარიუსმა მიიღო სანოტარო აქტები, საიდანაც მას უნდა გაეგო, რომ სწორედ ეს აქტები შეიძლება ყოფილიყვნენ ბანკის გადახდისუუნარობის მიზეზი; საქმე ეხებოდა ბანკისათვის მეტად არასასარგებლო ფინანსირებას. ნოტარიუსი საქმის კურსში იყო თავისი კლიენტის პრობლემებზე, რადგან იგი ამავე კლიენტის ჩვეულებრივი ნოტარიუსი იყო წინათ და პრესამაც საკმაოდ გააშუქა ყველა ის პრობლემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ბანკი უძრავი ქონების სფეროში ძალზე მძიმე და არაკანონიერი ოპერაციების გამო. ნოტარიუსს მის სამსახურზე უარი უნდა ეთქვა. მაგრამ ეს არ გააკეთა და ამით უდიდესი ზარალი მიაყენა მესამე პირებს, ამ შემთხვევაში, გაკოტრებული ბანკის კრედიტორებს.

108. *არსებობს ნოტარიუსის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, ან გამომრიცხავი გარემოებანი*. თუ გავაანალიზებთ მიზეზობრივ კავშირს ზარალსა და შეცდომას შორის, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მხოლოდ შეცდომა არ არის ზარალის მიზეზი, ან კიდევ ვერ დადგინდეს შეცდომა. პირველი დაშვების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მსუბუქდება (მცირდება), მეორე დაშვებისას კი პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

პასუხისმგებლობა შეიძლება შემსუბუქდეს:

- კლიენტის იურიდიული ცოდნის დონის მიხედვით;
 - კლიენტის გამოცდილების მიხედვით;
 - იმის მიხედვით, მიმართა თუ არა კლიენტმა ადვოკატს, ან ექსპერტს;
 - თვით აქტის ხასიათის მიხედვით, უფრო სწორად, იმის მიხედვით, რამდენად სასწრაფოდ შედგა აქტი, რამაც ნოტარიუსს არ მისცა საშუალება შეემოწმებინა ყველაფერი წესის მიხედვით, მიეღო კითხვებზე პასუხი და გაეწია კონსულტაცია;
 - იმის მიხედვით, თუ კონსულტაცია (რჩევა) გაწეულია კანონით გათვალისწინებული კონსულტაციის იმ ფორმისაგან განსხვავებით, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს აქტის დამოწმებას;
 - იმის მიხედვით, თუკი კლიენტი ნოტარიუსის მუდმივ კლიენტს არ წარმოადგენს და, რომ ნოტარიუსს ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენა მისი წინანდელი ოჯახური, თუ ფინანსური საქმიანობების შესახებ;
 - იმის მიხედვით, თუკი ნოტარიუსს სამსახურისათვის მიმართეს მხოლოდ აქტის დამტკიცებისათვის, ვინაიდან იგი უკვე გადაწყვეტილი იყო მხარეების მიერ;
 - იმის მიხედვით, თუკი კლიენტმა ინფორმაცია არ მიაწოდა ნოტარიუსს და სხვა.
- უკანასკნელ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა იხსნება (71).

109. *ერთხილი ნოტარიუსი ყოველთვის ტოვებს მიწოდებული კონსულტაციის შესახებ კვალს*, განსაკუთრებით მაშინ, როცა დოქტრინაში, ან იურისპრუდენციაში საკითხი სადაოა, ნოტარიუსი მხარეების ყურადღებას ამახვილებს იმ პრობლემებზე ან საშიშროებაზე, რომლებიც შესაძლოა მათ ჰქონდეთ შემდგომში და განმარტების დასადასტურებლად მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც მხარეებს განემარტათ საქმის ვითარება კონტრაქტიდან გამომდინარე პრობლემის, შედეგებისა და რისკის ჩვენებით, მხარეებმა განაცხადეს თავიანთი თანხმობა. ეს მით უფრო საჭიროა, როცა კლიენტს გადაწყვეტილი ჰქონდა აქტის გაფორმება ნოტარიუსის აზრის მიუხედავად. ასეთი კონსულტაცია საკმარისად და ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები, რათა მოსამართლემ იგი არ მიიღოს, როგორც სტილისტური წესი (72). ერთმანეთში არ უნდა აფერიოთ კონსულტაციის მიღების წესი და პასუხისმგებლობის მოხსნა. ეს უშედეგო იქნება, რადგან კონსულტაციის ვალდებულება მიეკუთვნება საჯარო საქმეს (73).

110. აღნიშნავენ, რომ ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი იქცა უმართებულო განვითარების საგნად. სასამართლო პროცესი მიჰყვება ნოტარიუსის სიმდიდრის გარკვევას შეცდომის ფაქტის დადგენის ნაცვლად. თუ ადგილი აქვს უკანონობას, ნოტარიუსმა სისტემატურად უნდა მოახდინოს რეაგირება *შეგებებული სარჩელით შემლახველი და გათამამებული* სასამართლო პროცესის წინააღმდეგ მიყენებული ზიანის გამო. ეს ერთგვარი საშუალებაა ნოტარიატის ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირების გადაგვარების თავიდან ასაცილებლად. ასეთი მიდგომა ასევე იძლევა ნოტარიატის ღირსების შენარჩუნების საშუალებას. ბელგიის საკასაციო სასამართლომ თავისი 1941 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მოპირისპირე მხარისათვის ზარალისა და ხარჯების ანაზღაურების დაკისრება სამოქალაქო კოდექსის 1382-ე და 1383-ე

მუხლების საფუძველზე, სამართლიანია, რადგან „როცა საქმის დაწყების საფუძველი – სარჩელი ეყრდნობა ისეთ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ მისი ავტორის სიმჩატეს, რასაც ნებისმიერი ფრთხილი და მოაზროვნე ადამიანი აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას, როცა ის, ვინც, თუნდაც გულწრფელად, აღძრავს პროცესს სასამართლოში ისეთი აშკარა შეცდომის დაშვების შედეგად, რომელიც მას აუცილებლად უნდა შეენიშნა და არ უნდა დაეშვა, აჭარბებს თავის უფლებებს (რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის მიერ თავისი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას) და ზიანს აყენებს მოპასუხე მხარის უფლებას, რომლის მიზანია თავისი რეპუტაციისა და ქონების დაცვა უკანონო ხელყოფისაგან; ყოველი ასეთი სარჩელი იძენს იგივე პირობებში უკანონო აქტის ხასიათს და რაც სამართლის ზოგადი ნორმების შესაბამისად მისი ავტორისათვის წარმოშობს ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას“ (74).

111. პასუხისმგებლობის თვალსაზრისით პროფესია ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ორ გარემოებას; პირველი: ბიუროს საფინანსო მდგომარეობასა და კლიენტების ანაზღაურებს არ დაემუქროს რაიმე სასამართლო პროცესი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველზე; მეორე: ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ კლიენტის უფლება არ დაზარალდეს ნოტარიუსის გადახდისუუნარობის გამო. ეს ორი პირობა საფუძველად უდევს, ან უნდა ედოს *სავალდებულო დაზღვევასა და კოლექტიურ გარანტიას*.

112. ევროკავშირის ყველა წევრ-ქვეყანაში ხელისუფლება *ავალდებულებს ნოტარიუსებს სავალდებულო დაზღვევით უზრუნველყონ სამოქალაქო პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა (75)*. უნდესნოტარორდნუნგ ამას მოითხოვს ყოველი ნოტარიუსისაგან (პარაგრაფი 19 ა, აბზაცი1; 1⁰ ნოტ), ხოლო სანოტარო პალატებს ავალდებულებს იქონიოს დამატებითი კოლექტიური დაზღვევა ისეთ რისკზე, რომელიც არ შეივსება ინდივიდუალური დაზღვევებით და თანხით აღემატება ინდივიდუალურ დაზღვევებს (პარაგრაფი 67, აბზაცი 2, 3⁰ ნოტ) (76).

საფრანგეთში პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა 1955 წლის 20 მაისის დეკრეტის მიღების შემდეგ. იგი ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურებას 50.000.000 ფრანგული ფრანკის ფარგლებში ყოველი შემთხვევისათვის (77). ბელგიაში, ყველა პალატა ამას მოითხოვს და თითქმის ყველა ნოტარიუსი დაზღვეულია იმ კომპანიაში, რომელსაც მართავს ნოტარიატი (ნოტარიატის სადაზღვევო კომპანიები). დაზღვევა ფარავს ზარალს 100.000.000 ფრანკის ფარგლებში თითოეული შემთხვევისათვის. ჰოლანდიაში ნოტარიუსი ვალდებულია თავისი პასუხისმგებლობა დააზღვიოს – 1.000.000 ფლორინის ფარგლებში ზარალის ანაზღაურების ფარგლებში, ხოლო სანოტარო პალატა დამატებით აზღვევს თითოეული ნოტარიუსის პასუხისმგებლობას 10.000.000 ფლორინის ფარგლებში. თითოეული დიდი სანოტარო კანტორა დაზღვეულია 100.000.000 ფლორინის ფარგლებში (78).113. *კოლექტიური გარანტია* მთლიანად უზრუნველყოფს სანოტარო სამსახურის დაზღვევას კლიენტებისათვის ზარალის დაფარვის მიზნით. საფრანგეთში კოლექტიური დაზღვევა დადგინდა 1934 წლის 25 იანვრის კანონით, რომელიც შემდგომში შეცვალა 1955 წლის 20 მაისის დეკრეტ-კანონმა. 1955 წლის 20 მაისის დეკრეტ-კანონი ადგენს, რომ გარანტია „გამოიყენება

ფულადი თანხების ასანაზღაურებლად, იმ ფასიანი ქაღალდებისა თუ ღირებულებების ასანაზღაურებლად, რომლებიც მიღებულია ნოტარიუსების მიერ შესრულებული მოქმედების, ან ჩატარებულ ოპერაციებთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ მატერიალური პასუხისმგებლობისათვის, რომელიც ეკისრება ნოტარიუსს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაშვებული შეცდომის, ან უყურადღებობით გამოწვეული ზარალისათვის. გარანტია არ ვრცელდება ზარალის (დანაკარგის) დასაფარავად ხელფასების უკმარისობის გამო“. ნოტარიატი კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებას ხელახალი დაზღვევის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია არ იხდის იმ ზარალსა და დანაკარგს, რაც გამოწვეულია ნოტარიუსის განზრახვი, ან უკანონო ქმედებით. ხელახალი დაზღვევა დაშვებულია, კლიენტის ზარალის ანაზღაურების მოცულობა კი შეუზღუდავია (79).

„უნდენსნოტარორდნუნგ“ პალატებს ავალდებულებს დააზღვიონ ზარალი, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის ნოტარიუსთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაზღვევით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზარალი აღემატება საგარანტიო შკალას, ან იგი გამოწვეულია ნოტარიუსის განზრახვი მოქმედებით (პარაგრაფი 67, აბზაცი 2, 3⁰ ნოტ); ამას გარდა, პალატები კანონისმიერი ვალდებულების გარეშე ქმნიან სპეციალურ ფონდს მოსალოდნელი იმ პირებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად (ვერტრაუნსს-ცჰანდენფონდო), რომლებიც დაზარალდნენ ნოტარიუსის განზრახვი მოქმედების შედეგად და როცა ზარალი არ არის უზრუნველყოფილი სხვა დაზღვევით (80).

ბელგიაში, 1954 წლის 3 აპრილს ნოტარიატმა დააარსა არაკომერციული ასოციაცია სახელწოდებით „სანოტარო უსაფრთხოება“, რომელშიც გაერთიანდა ყველა პალატა. ასოციაციის წესების მე-3 მუხლში ნათქვამია: „ასოციაციის მიზანია გაუფრთხილდეს ნოტარიატის ინსტიტუტის ავტორიტეტს და ღირსებას. მისი საგანია საკუთარი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში და წესით აღკვეთოს, ან დაფაროს ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელიც შეიძლება მიადგეს კეთილსინდისიერ მესამე პირს გაკოტრების პირას მისული, ან გაკოტრებული ნოტარიუსის მოქმედებით. ყველა შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში ნოტარიუსის მიერ მიღებული ფულადი თანხის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ღირებულებების ანაზღაურება იწარმოებს მთლიანად, ან ნაწილობრივ უმოკლეს, ან განსაზღვრულ ვადებში.“

VIII. სრულყოფილება

114. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, კონფიდენციალობა და პასუხისმგებლობა თავისუფალი მისიით აღჭურვილი ნოტარიატის განუყოფელი და დამახასიათებელი თვისებებია.

კეთილშობილება გვაავალდებულებს. ყველა ეს თვისება ისევე, ნოტარიუსის ფუნქციები, მისი სტატუსი – პასუხსაგები, მაგრამ პრივილეგირებული

ამავდროულად, ნოტარიუსს აკისრებს ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც საერთოა თავისუფალი პროფესიებისთვის, მაგრამ სპეციფიკური, ან უფრო გარდაუვალი სანოტარო პროფესიისათვის. სწორედ ამ თვისებების დაცვა განაპირობებს ნოტარიუსის მიმართ ნდობას როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების მხრიდანაც.

ნოტარიატისადმი ნდობის არსებობას განსაზღვრავს სამი ტიპის ვალდებულება:

- თავისი საქმის ცოდნა, განსაკუთრებით, გამოცდილების საფუძველზე;
- სავალდებულო ეთიკური ნორმების დაცვა;
- დახმარების აღმოჩენისა და კონსულტაციის გაწევის ვალდებულება.

ზოგჯერ კოდიფიცირებული, მაგრამ ნოტარისტა ცნობიერებაში მუდმივად არსებული ყველა ამ ვალდებულების დაცვას მიყვავართ *სრულყოფილებისაკენ*, რომელიც პროფესიის მუდმივ მიზანს წარმოადგენს.

ნოტარიუსი ვალდებულია ფლობდეს თავის პროფესიას.

115. ფაქტობრივად, სამართლებრივი და აზრობრივი თვალსაზრისით ნოტარიუსმა არ უნდა დაუშვას შეცდომა.

ყოველ სპეციალისტს უნდა გააჩნდეს სავალდებულო ცოდნა თავისი მოვალეობის სწორად შესასრულებლად. მაგრამ ნოტარიუსი, ამას გარდა, საჯარო თანამდებობის პირია, რომელსაც არჩევს ხელისუფლება და, რომელიც თავისი განათლებით მომზადებულია პროფესიის აღსასრულებლად და გააჩნია საკმაოდ მაღალი დონის გამოცდილება. ნოტარიუსისაგან, როგორც საჯარო თანამდებობის პირისაგან, საზოგადოება იმედოვნებს მიიღოს ისეთი კვალიფიციური მომსახურება, რომელიც დაზღვეულია შეცდომებისგან.

ამდენად, ნოტარიუსი უნდა იყოს მომზადებული. იგი უნდა ეცადოს შეიძინოს ყველანაირი ცოდნა, რომელიც მას მოეთხოვება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, როგორც კონსულტაციის სფეროში, ისე დამოწმებისას. კანონი და საზოგადოება მუდმივად იცვლება, ამიტომ *ნოტარიუსიც ვალდებულია ზრუნავდეს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის*, გამონახოს დრო მეცადინეობისათვის, გაიაროს სასწავლო კურსები, მონაწილეობა მიიღოს სემინარებსა და კონგრესებში, გაიღოს შესაბამისი ინვესტიცია საკუთარი ბიბლიოთეკის შესაქმნელად და მუდმივად ფლობდეს საჭირო ინფორმაციას. უფრო კონკრეტულად, ნოტარიუსი ღრმად უნდა სწავლობდეს ყოველ საქმეს, კანონმდებლობას, დოქტრინასა და იურისპრუდენციას, რასაც კავშირი აქვს თავის პროფესიასთან. ყველა საქმეში (მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მათ აქვთ „სერიული“ ხასიათი) არსებობს რაღაც განსაკუთრებული ელემენტები, რომელთა ღრმად შესწავლა აუცილებელია; ნოტარიუსი იქ აუცილებლად იპოვის ისეთ დეტალს, რის შესახებაც მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კლიენტს; როგორც, მაგალითად, დროგადასული და არაფრისმთქმელი პუნქტების აღმოჩენა საქორწინო ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის მიერ ქონების გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების დამოწმებისას. ნოტარიატისათვის უცხოა საქმისადმი ზერელე და

ზედაპირული მიდგომა. ნოტარიუსი ვალდებულია არ დაუშვას ავტომატურობა და გამეორებები. ფორმულიარები და აქტების მოდელები გამოყენებულ უნდა იქნას კრიტიკულად: ეს უკანასკნელი მხოლოდ დასაყრდენი უნდა იყოს, რათა კონცენტრირება მოხდეს არსზე. მომზადების აუცილებლობა მხოლოდ ნოტარიუსით არ შემოიფარგლება (...). იგი ვალდებულია სისტემატურად მოუწოდებდეს თავის *თანამშროლებს* ისწავლონ, შეამოწმონ ყველაფერი და დანერგონ სიზუსტისაკენ სრაფვა. ამდენად, კომპეტენტურობა არ ნიშნავს მხოლოდ იმ ტრადიციული მოვალეობების შესრულებას, რისთვისაც მას მიმართავენ; იგი გულისხმობს ისეთ მოვალეობებსაც, რომლებიც ერთგვარად ხელს უწყობენ ეკონომიკურ-სოციალურ სფეროსა და კანონმდებლობის *განვითარებას*. იგი ხელს უწყობს წინადადებების გამომუშავებას, ახლის ძიებას ახალი გარემოებებისა და უფლებების შესაბამისად (82).

ნოტარიუსი მოვალეა დაიცვას სავალდებულოეთიკური ნორმები

116. სანოტარო ინსტიტუტი აგებულია იმ განსაკუთრებულ ნდობაზე, რომლითაც სარგებლობენ სამემკვიდრეო საქმეთა წარმოების უფლების მქონე საჯარო თანამდებობის პირები. ამ ნდობის არებობას შეიძლება საფრთხე შეექმნას, თუკი ნოტარიუსი არ დაიცავს *მაღალი მორალის პრინციპებს* საზოგადოებასთან, კლიენტებთან, სანოტარო პროფესიასა და თანამშრომლებთან ურთიერთობებში.

(1) *საზოგადოებასთან ურთიერთობისას* ნოტარიუსი ვალდებულია ისე იქცეოდეს, რაც ყველა შემთხვევაში გამოიწვევს მის მიმართ პატივისცემას.

117. *კანონის დაცვა*. ნოტარიუსი კანონიერების დამცველია. იგი უნდა იცავდეს კანონს არსობრივად და ტექსტუალურად ყველგან – პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

118. *სახელმწიფო ორგანოებისადმი პატივისცემა*. მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსი მკვეთრად დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან, ნოტარიუსი მაინც საჯარო თანამდებობის პირია (...). ამდენად, ნოტარიუსმა უნდა სცადოს თავისი წვლილის შეტანა „ბონუმ ცომუნე“-სა და „რეს პუბლიცა“-ს გამართულ ფუნქციონირებაში. კონკრეტულად, ასეთი მიდგომა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას იუსტიციის მინისტრის მითითებისადმი, რომლისგანაც იგი დამოუკიდებლად მოქმედებს. და ბოლოს, ნოტარიუსს მუდმივი ურთიერთობა აქვს სახელმწიფო მმართველობასთან (მიწის რეესტრი, სავაჭრო-სამეწარმეო რეესტრი და სხვა) და ვალდებულია პატივისცემითა და ნდობით მოეკიდოს მას საერთო ინტერესებისა და კლიენტის კეთილდღეობის მიღწევის მიზნით.

119. *პირადი ქცევა*. ნოტარიუსის პირადი ქცევა იმ ღირსების გამოხატულებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს საჯარო სანოტარო ფუნქციის მქონე პირს. ეს ეხება ქცევას როგორც პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, ისე პირად ცხოვრებაშიც. ქცევის შინაარსის შესახებ განმარტებები ერთსულოვანია: ჩივილ აწ-ის („სამოქალაქო სამართლის“) ქვეყნებში კითხვაც კი არ ისმის, – „ჩან ა გოოდ ლაწყერ ბე ა ბად პერსონ?“ პასუხი, ცხადია, უარყოფითია. ნოტარიუსი პირად ცხოვრებაშიც კი ყველაფრით შორს უნდა იყოს იმისაგან, რაც სათაკილოა. უპატივცემულობა, უზრდველობა, უტაქტობა, ქცევის ნორმების დარღვევა

წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, თუკი მათი მიზეზით იბღალბა თვით ღირსება (84). ავსტრიული “ ოტარიატსორდინგ” (პარ. 117, აბზ.2) ამბობს, რომ ყოველი კანდიდატი ნოტარიუსის თანამდებობაზე უნდა აკმაყოფილებდეს ‘Vertrauenswürdigkeit, geordnete Vermögensverhältnisse, ordentlichen Lebenswandel’-ის პრინციპს (85).

120. *გულწრფელობისა და პატიოსნების ვალდებულება.* ნოტარიუსი უზრუნველყოს მტკიცების ძალას. ნოტარიუსი ჩადის ძალიან მძიმე დარღვევას, თუკი იგი მტკიცებულების შექმნის უფლებამოსილებას იყენებს იმ ფაქტების მიმართ, რომელთა სიყალბეში თვითონვეა დარწმუნებული. მაგალითად, უკანა რიცხვით აქტის დათარიღება, დავალიანების მაჩვენებლის გადასწორება. ამ შემთხვევაში უხეშად *ირღვევა გულწრფელობის პრინციპი.* მეორეს მხრივ, ნოტარიუსი ვალდებულია კატეგორიულად განაცხადოს უარი აქტში ისეთი პირობების შეტანაზე, რომეიც კანონსაწინააღმდეგოა ან ეწინააღმდეგება ეთიკურ ნორმებს და რაც ბღალავს *პატიოსნებას* (...) (86).

პატიოსნება ის სიტყვაა, რომელსაც ძალიან ხშირად მოიხსენებენ სანოტარო კანონები ნოტარიუსის ფიცის ტექსტში. იგი ნიშნავს პატიოსნებას სულითა და გულით; სწორედ პატიოსნების პრინციპიდან გამომდინარეობს ნოტარიუსის ვალდებულება, უარი თქვას ნებისმიერ არაკანონიერ შეთანხმებაზე, თვალთმაქცობასა და ტყუილზე, რაც გულისხმობს მიცემული პირობის დაცვას, მიჩქმალვის საშუალებებისა და გზების გამოყენებაზე უარისთქმას, ყალბი განცხადებებისა არდაშვებას, ნახევარსიმართლისა და სიცრუის, ყოველგვარი უკანონობის უარყოფას, გულწრფელობას, ალაღმართლობასა და სიმართლის იყვარულს (87).

(2). *კლიენტებთან ურთიერთობა.* განვიხილოთ საყოველთაოდ მიღებული განმარტებანი.

121. *უანგარობა.* იგი გულისხმობს საქმეში პირადი ინტერესების გამორიცხვას, დამოუკიდებლობას ფულისაგან. შეგვიძლია კვლავ დავეყრდნოთ მე-4 თავს, სადაც ლაპარაკი იყო დამოუკიდებლობაზე, კერძოდ, 50-ე და 51-ე პუნქტებს. *კლიენტის ინტერესი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნოტარიუსის ინტერესი.* ნოტარიუსის კონსულტაციაში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს კლიენტის ინტერესებზე და მხოლოდ მასზე, თუნდაც ამით ილახებოდეს თვით ნოტარიუსის ინტერესები. ნოტარიუსმა უნდა ურჩიოს კიდევ კლიენტს უარი თქვას იმ ოპერაციაზე, რომელიც, შესაძლოა, მომგებიანი იყოს ნოტარიუსისათვის, მაგრამ საშიში და გაუმართლებელი – კლიენტისათვის (88).

კვლავ შეიძლება გავიმეოროთ, რომ უანგარობა სრულებით არ ეწინააღმდეგება სანოტარო ბიუროს რენტაბელობას. რენტაბელობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტარიფით გათვალისწინებული პონორარების

საშუალებით, ნუმერუს ცლაუსუს-ისა და მხოლოდ დაშვებული რეკლამირების გზით (როცა რეკლამა ემსახურება ნოტარიატის სახელს, ავტორიტეტს, მისი სამსახურის უპირატესობის წარმოჩენას). ეს არის სამსახური, რომელიც ყოველთვის უპირველესია. *სამსახური განაპირობებს მისაღები კონორარის არსებობას. მას არ უნდა ჰქონდეს მოგების მიღების ფუნქცია.* ნოტარიუსის ინტერესი არ უნდა ავურიოთ მის სამსახურებრივ საქმიანობასთან. მათ შორის მკვეთრი განსხვავებაა. ნოტარიუსის ინტერესი ნაწილობრივ სახელმწიფოს გადასაყვეტი საკითხია (ტარიფი, ნოტარიუსთა განთავსება), ნაწილობრივ - თვით ნოტარიუსებისა (ავტორიტეტის გაზრდა). მაგრამ ნოტარიუსი ამით არასადროს განსაზღვრავს თავისი პროფესიული საქმიანობის ორიენტირს.

122. *მიუკერძოებლობა.* მასზე ლაპარაკია მე-5 თავში. ნოტარიუსის მიუკერძოებლობა არა მხოლოდ სპეციფიკური თვისებაა პროფესიისა. იგი განაგებს ნოტარიუსისათვის დამახასიათებელი მორალის პრინციპებს.

123. *საიდუმლოს შენახვა.* აქაც მოვიშველიებთ ყოველივე იმას, რაც წინა – მე-6 თავში იყო ნათქვამი, კერძოდ, კონფიდენციალობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნოტარიუსს ეკისრება საიდუმლოს დაცვის ვალდებულება. ამგვარი ვალდებულების არსებობა ნოტარიუსს მოუწოდებს მორალისაკენ, ისეთი ქცევისაკენ, რომელიც გამორიცხავს ყველანაირი შფოთით სავსე ცხოვრებას, განდობილ საიდუმლოებაზე ყბელობას.

124. *სიფრთხილე და ყურადღება.* ნოტარიუსი უნდა ცდილობდეს განავითაროს თავისი სიფრთხილის გრძნობა, როგორც თავისი მეორე თვისება. იგი ეძებს *მყარ გადაწყვეტილებას.* ნოტარიუსის სიფრთხილე არ არის ნოტარიუსის სიმფრთხილის გამომხატველი, პირიქით, იგი უფრო გამჭრიახობაზე მეტყველებს. ნოტარიუსი „გეგმავს“ გადაწყვეტილებას და *ითვალისწინებს იმ საშიშროებას,* რომელიც შეიძლება წინა დაუდგეს მას. სიფრთხილე კარნახობს ნოტარიუსს მოძებნოს საუკეთესო, კარგად ჩამოყალიბებული ფორმულიარები, ამასთანავე, უკვე არსებულ სარეკომენდაციო *ფორმულიარებს უნდა მიუდგეს კრიტიკულად.* სიფრთხილე აიძულებს ნოტარიუსს შეადგინოს აქტი ნათლად, შეამოწმოს, „რათა დარწმუნდეს, ხომ არ დაავიწყდა რაიმეს ჩვენება, ხომ არ გამოტოვა რაიმე პირობა, წესი თუ მექანიზმი, რათა ხელი შეუშალოს განსხვავებული წაკითხვის წარმოშობას“. სიფრთხილე თავისი დანიშნულებით უფრო ყურადღებას უახლოვდება. ნოტარიუსმა ყველაფერზე უნდა იფიქროს და ეს „ყველაფერი“ კი მეტად ბევრია. ამდენად, ის ხშირად იშველიებს „ცჰეცკ-ლისტს“-ს, რომელსაც იგი გულდასმით ამზადებს. ამას გარდა, ნოტარიუსს მართებს ზედმიწევნით დიდი სიფრთხილე იმ ფონდების მართვისა და გადაცემისას, რომელიც ინახებოდა ნოტარიუსთან.

125. *გულმოდგინება და სისწრაფე*. ნოტარიუსი იღებს ვალდებულებას. უფრო და უფრო მეტად საზოგადოება ითხოვს სრულყოფილ, გულმოდგინე, ზუსტ და სწრაფ სამსახურს. ეს კი ნოტარიუსისაგან მოითხოვს თავისი პროფესიის სრულყოფილად ცოდნას. სხვანაირად შეუძლებელიცაა (...). *მოწესრიგებული ნოტარიუსი*, რომელიც არასდროს არ სჯერდება „დაახლოებით“, რომელიც ჩქარობს ერთი საქმის დამთავრებას და მეორეზე გადასვლას, შესაძლოა *ითვლიდეს წუთებს, მაგრამ – არა საათებს*. ნოტარიუსი უნდა ზრუნავდეს, რომ ის ყოველთვის *მზად იყოს კლიენტის მისაღებად მზად იყოს*, მოაწყოს თავისი სამსახური ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერ დროს სასწრაფო შემთხვევების განხილვა; ნოტარიუსს უნდა შეძლებისდაგვარად შეეძლოს სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა, შეეძლოს გარკვეული დროით გამოთავისუფლება და ამასთან დაკავშირებით ფართო უფლებები გადასცეს შესაბამისად კომპეტენტურ თანამშრომელს იმ პირობით, რომ მუდმივად იქნება ინფორმირებული იქნება საქმის მსვლელობის შესახებ. ნოტარიუსმა უნდა იზრუნოს, რომ *ყოველ მიღებულ წერილს პასუხი გაეცეს დაუყოვნებლივ*, იყოს ეს თუნდაც წერილის მიღების დადასტურების მეშვეობით. *საქმეები (დოსიე) შესწავლილ-განხილულ უნდა იყოს სწრაფად*, განსაკუთრებით ისეთები, რომელთა დაგვიანება გამოიწვევს დაძაბულობას ან უთანხმოებას. ასეთ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება სამემკვიდრეო საქმე. წინასწარარსებული „ცპკც-ლისტს“-ის მეშვეობით ნოტარიუსი უნდა ზრუნავდეს, რომ ყველანაირი ფორმალობა საქმის მიღებისას შესრულდეს დროულად, რომ შემდეგში, აქტის მიღების დროს ადგილი არ ექნეს მოულოდნელობას, ან დაყოვნებას. (...)

126. *დახვეწილობა*. დაუგუდოთ ყური პროფესორ ჟაკ დამბლონს ამასთან დაკავშირებით: „დახვეწილობა მიგვანიშნებს სიფაქიზეზე; იგი უპირისპირდება უხეშობას, სიტლანქეს. იგი შეიძლება გავაიგივოთ პატივსა და ღირსებასთან. იგი გვკარნახობს არ დაუშვათ მოუფიქრებელი ნაბიჯი უსიამოვნო საქმესთან დაკავშირებით, ან კლიენტურასთან ურთიერთობაში, მყვირალა რეკლამა, უხერხულობა-გაუგებრობა, შეურაცხყოფა, ჩხუბი, საჩოთირო ურთიერთობები და დაახლოვება. იგი მოითხოვს კორექტულობას კოლეგებისა და საქმესთან დაკავშირებულ პირთა მიმართ. იგი კრძალავს სხვათა საქმეებში ფარულად ჩართვას, ქადაგებს თავშეკავებულობას, მოკრძალებას ქცევებში, გავლენის ბოროტად გამოყენებაზე უარის თქმას. იგი გვაფრთხილებს, გავერიდოთ ხმაურიან ურთიერთობებს, ყოველგვარ ფინანსურ მაქინაციებს. იგი ეხება პირად ცხოვრებას, ისევე, როგორც პროფესიულ საქმიანობას, რამეთუ პირველი მეორის უცილობელი ანარეკლია.“ (89)

3) *ნოტარიატთან დამოკიდებულება*: თავიანთი კოლეგებისა და დარგის ორგანოებისადმი ნოტარიუსები ვალდებულნი არიან დაიცვან:

127. *კოლეგიალობის პრინციპი.* კოლეგიალობის პრინციპის დაცვას ზოგიერთები ნოტარიატისადმი არსებული ვალდებულებების რიცხვს მიაკუთვნებენ, რადგან სანოტარო სამსახური ემსახურება საერთო მისიას. იგი წარმოადგენს ერთიან სხეულს, რომლის ყოველი შემადგენელი ნაწილი განაპირობებს მთელი სხეულის ჯანმრთელობას. ამდენად, *ინდივიდუალურ ნოტარიუსებს ეკისრებათ ნამდვილი პერსონალური პასუხისმგებლობა ინსტიტუტის ნორმალური მუშაობისათვის.* თანხმობა კოლეგებს შორის და მისი შენარჩუნებისათვის დაწესებული წესების დაცვა ერთგვარი წინაპირობაა ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამ წესებით დადგენილია: (90)

– *ურთიერთდახმარების გაწევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;* მაგალითად: უსასყიდლო სამსახურის გაწევა, როცა კოლეგა ავადაა, არ არის, ან ვერ ცხადდება სამსახურში;

– მხარეთა მიერ ნოტარიუსის თავისუფალი არჩევის უფლების გამოყენებისათვის ხელშეწყობა.

– *ტარიფების დაცვა;* აკრძალულია დადგენილ ტარიფზე მეტის, ან ნაკლების გადახდევინე.

– *მერკანტილურობის აკრძალვა.* ნოტარიუსები ვალდებული არიან თავი შეიკავონ ყოველგვარი ნებისმიერი კონკურენციისაგან, რომლის მიზანია სხვა ნოტარიუსისათვის განკუთვნილი საქმის ხელში ჩაგდება.

– *დახვეწილობის პრინციპების დაცვა.* ნოტარიუსმა არ უნდა მიაყენოს თავის კოლეგებს *მატერიალური, თუ მორალური, პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ზარალი.*

უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლეგიალობის პრინციპი უკან იხევს მხარეთა ინტერესების წინაშე. თუ კლიენტის ინტერესი ამას მოითხოვს, ნოტარიუსს უფლება აქვს ბათილად მიიხილოს მისი კოლეგის მიერ შედგენილი აქტი.

დახვეწილობა ვერ უთავსდება უხემობას. დახვეწილობა წინააღმდეგია სანოტარო ბიუროს *მოსამსხურეთა შორის დებოშისა* (...).

აკრძალულია ისეთი მოქმედება, როცა ნოტარიუსი პირდაპირ კავშირს ამყარებს თავისი კოლეგის თანამშრომელთან მის ზურგს უკან ამ თანამშრომლის გადაბირების მიზნით; ეს აკრძალულია იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს უხემ და უღირს საქციელთან; (...) ეს არაკორექტულია და არ ეკადრება ნოტარიუსს; ამგვარი ქმედებები საერთო ჯამში არასტაბილურს ხდის სანოტარო ბიუროს და, მაშასადამე, ამცირებს საჯარო სამსახურის ფუნქციას (91).

128. *დამოკიდებულება დარგის ორგანიზაციებთან.* ნოტარიუსი დაინტერესებული უნდა იყოს, თუ რა ხდება დარგში, დარგის მმართველ ორგანოებში; იგი აქტიურად უნდა ჩაებას მათ მუშაობაში. ერთ-ერთ სფეროში დასქმების შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია თვითონვე იზრუნოს მის მდგომარეობაზე ყველანაირ დონეზე. საერთაშორისო, დონეზეც კი მას შეუძლია

არ თქვას უარი თუნდაც სულ პატარა უფლებაზე (მანდატზე), რომელსაც გადასცემენ. რაც უფრო მიდის ეკონომიკური ურთიერთობის ინტერნაციონალიზაცია, რაც უფრო სწრაფად მოძრაობს ინფორმაცია, მით უფრო უნდა ეცადოს ნოტარიუსი, იზრუნოს შესაბამისად დარგის საზღვრებს მიღმა. ამას ავალდებს სოლიდარობის პრინციპი.

კოლეგიალობა და სოლიდარობა ის თვისებებია, რომლებიც განაპირობებენ ინსტიტუტის ნორმალურ ფუნქციონირებას. (...).

ნოტარიუსის ვალდებულებაა დახმარების და კონსულტაციის გაწევა.

129. ამ ვალდებულებაზე ლაპარაკია II თავში, სადაც ვიხილავდით ნოტარიუსის ფუნქციებს. უფრო დაწვრილებით მე-17 და მომდევნო პუნქტებში.

აქ ძირითადად შევხებით ნოტარიუსის ვალდებულებებზე. კონსულტაციის გაწევა არ ხდება წვეთ-წვეთად კლიენტის კითხვების მიხედვით. კონსულტაცია ფაქტიურად წარმოადგენს რეალურ დახმარებას, იგი კლიენტის მეგზურია, კონსულტაცია ეძებს და გვთავაზობს. *ნოტარიუსმა თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა კონსულტაციისათვის.* ნოტარიუსს, რომელიც პასუხისმგებლობის გამო შიშს ამჟღავნებს, კლიენტები გაურბიან. ნოტარიატს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ დახმარება, რომელსაც კლიენტს უწევს საჯარო ფუნქციის მქონე პირი, პასუხისმგებელი და გარანტი ოპერაციის ეფექტურობისა და კანონიერებისა – შესანიშნავი კოზირია, ყველაზე უფრო ღირებული, რომელსაც ნოტარიატი სთავაზობს იურიდიულ სამსახურთა ბაზარზე, სადაც სულ უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით მას. შორს უნდა მოვისროლოთ შიშის თანხლებით დამოწმება; ნოტარიატმა გადაწყვეტილად უნდა აირჩიოს აქტიური დამოწმების გზა, დამოწმების ისეთი პროცედურა, რომელიც თავის მოსამზადებელ ფაზაში ნოტარიუსს ავალდებულებს მხარეებისათვის კონსულტაციის გაწევასა და დახმარების აღმოჩენას.

შენიშვნები

* თარგმანი რომან კუპრავასი, სამეცნიერო რედაქცია ოთარ ზოიძისა. თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: *La profession notariale, sa deontologie et ses structures*, 2000, Edite par les soins de la fondation pour la Promotion de la Science Notariale, Amsterdam

** განსხვავებული კონცეფციაა გავრცელებული იტალიაში, სადაც მიჩნეულია, რომ სანოტარო საიდუმლოებაა მხოლოდ ის, რაც რჩება სანოტარო აქტის მიღმა, ხოლო საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია არ შეიძლება დაცული იყოს სანოტარო საიდუმლოების რეჟიმით (ოთარ ზოიძის შენიშვნა).

მითითებული ლიტერატურა:

23 Cfr. Baumann W., o.c., pp 28-34

24 Harmel P., *Organisation et deontologie du notariat*, Repertoire Notarial, tome XI, Livre V, Larcier, Bruxelles 1977, n 112

25 W. van Gerven, *Handels-en Economisch Recht*, Deel I Ondernemingsrecht, Standaard 1975, p.27

- 26 E. Deckers, Associations de notaries et association pluridisciplinaires dans le Notarie, votre partenaire, aujourd'hui et demain, Asademia_Bruylant, Bruxelles 1992
- 27 Cfr. Gaupp R., La signification de la deontologie pour les clients, les confreres et l'Etat, in: Rapports de la delegation allemande pour le XXII-e Congres Intrenetional du Notariat Latin, Bundesnotarkammer, Koln, 1998, pp 140-142
- 28 Wolfsteiner H./ p 122
- 29 Putzer H._J., Droits de l'homme et mission du notaire, in : Rapports de la delegation allemande pour le XXII e Congres international du Notariat Latin, Bundesnotarkammer, koln, 1998, p.107
- 30 Deckers E., La negociation immobiliere: l'apport du notariat, Bruylant, Bruxelles 1998, p.42
- 31 Putzer H.-J., oc., p. 103
- 32 Pager F., Le devoir d'importialite du notaire, in: La Revue du Notariat, Montreal, Vol. 98, avril 1996, p.378
- 33 Lekkerkerker G.J.C. De Nedelandse notaris en de besherming van consumenten, Notarius 1996 (Federation Royale des Notaires de Belgique), n 6, p.232
- 34 Baumann W., o.c. p. 28-Gaupp R., o.c., p. 147
- 35 Beroeps-en Gedragsregels, KNB 1998, regel 21
- 36 Delgado de miguel J.F. La deontologie notariale, Rapport du coordinateur international, U.I.N.L., Buenos Aires 1998, p.56
- 37 Lambert p. et Taymans J.-F., Le secret professionnel du notaire, Reertoire Notarial, Tome XI, Livre X, Larcier, Bruxelles 1994, n 9 _Waijjer B.C.M., De notaris, een vertrouwenspersoon, Ars Notariatus LXXI, Stichting tot Bevordering der Notariele Wetenschap, Amsterdam, 1996, p.42
- 38 Lambert p. et Taymans J. F.,o.c., n 13
- 39 Rouzet G., Memento sur le secret professionnel notarial, Presses Universitaires de Bordeaux, 1998, n s 22-23
- 40 harmel P., o.c., n 103
- 41 Mishielsens A., Beginselen van Notarieel Recst, Notes de cours editees par l'auteur, pp. 184-185
- 42 Waijjer B.C.M./ Het notariale vershoningsrecht en de fiscus, W.P>N>R> 99/6343, p.82
- 43 Waijjer B.C.M., o.c., p.83
- 44 Lambert P. et Taymans J.-F., o.c., n 15
- 45 Rouzet G., Memento ..., o.c., n 61
- 46 Lambert P. et Taymans J. -F., o.c., n 17
- 47 Rouzet G., Memento ..., o.c., n 61 in fine
- 48 Lambert P. et Taymans J. F., n 30
- 49 Lambert P. et Taymans J.F., ibid.
- 50 De Valkeneer R., cite par Lambert P. et Taymans J.-F., o.c., n 31
- 51 Lambert P. et Taymans J.F., o.c. n32
- 52 Lambert p. et Taymans.J.F., o.c. n 34
- 53 Rouzet G., Memento ..., o.c., n 56
- 54 Lambert P. et Taymans J.F., o.c. n s 35 et 38
- 55 Rouzet G., Memento ...o.c., n 20
- 56 XXII e Congres International DU Notariat Latin, Buenos aires 1998, Conclusions Theme I, n's 2 et 3
- 57 Cfr. Arret 18.12.98.de la Cour Supreme des Pays-Bas deja cite plus haut (note37) QUI subordonne l'interet du fisc- en le qualifiant de simple tiers- a l'imperatif du secret professionnel.
- 58 XXIIe congres, Theme I (cfr. note 51), n 7
- 59 Cfr. Circulaire du Conseil Superieur du Notariat du 16 juillet 1999
- 60 Limmer p., Le role du notaire a l' egard de l' Etat, principalement dans le domaine administratif et fiscal, in: Rapports de la delegation allemande pour le XXIIe Congres International du Notariat Latin, Bundesnotarkammer, koln, 1998, pp 36-37
- 61 Cfr. circulaire de la Koniklijke Notariele Berespororganisatie (KNB) du 4 novembre 1996
- 62 Avis du conseil d'Etat, Documents parlementaires, n s 1335/ 1 et 1336/1
- 63 Geelhand N., Le principe de la croyance legitime en droit administratif et en droit fiscal, revue Critique de Jurisprudence belge, ler trimestre 1995, p. 80
- 64 Cfr. Lambert P. et Taymans J.-F., n 59- Rouzet G., o.c., n s 24 a 26
- 65 Lambert P. et Taymans J.-F.,o.c. n 62
- 66 Lambert P. et Taymans J.-F.,o.c. n 17
- 67 Harmel P. et Bourseau R., les sourcec et la nature de la responsabilite civile des notaires, Faculte de droit, Liege et Martinus Nijhoff, La Haye, 1964, n 7
- 68 Harmel et Bourseau R., o.c., n-s 214 et 215- Vanhalewyn C., La responsabilite civile du notaire, Altiora, 1991, n- s 9 a 11- Rouzet G., Precis de Deontologie Notariale, Presses Universitaires de Bordeaux, 1999, n-s 98-99 et les references citees dns l'ouvrage
- 69 Vanhalewyn c., n-s 12-13
- 70 Lekkerkerker G.J.C., De mastschappelijke functie van de notaris als "officier public"; de zorgplicht jegens derden. Note en marge des arrets de la Hoge Read du 23.12.1994 et du 15.9.1995, JBN, novembre 1995, p.11
- 71 Vanhalewyn C., o.c., n-s 52 a 66-Yaigre J. et Pillebout J.-F., o.c., n-s-287 a 291
- 72 Vanhalewyn C., o.c., n-70 (nombreuses references)-Yaigre J.et Pillebout J.-F., o.c., n-s 292-293

- 73 Vanhalewyn C., o.c., n-72
- 74 Vanhalewyn C., o.c., n-88
- 75 Palud H., les organisations volontaires, in : Notaire sans frontieres. Liaison n 13, octobre 1997
- 76 Gaupp R., o.c.p.149
- 77 Rouzet G., Precis..., o.c., n-91
- 78 Rapport de la Koninklijke Notariele Broederschap (Theme I) pour le XXI e Congres de l' U.I.N.L.KNB, La Haye, 1995, p.11
- 79 Yaigre J. et Pillebout J.-F., o.c.,n-310- Rouzet G., Precis..., o.c., n-93
- 80 Gaupp r., o.c., pp 149-150
- 81 Nous suivions le plan de l' ouvrage de P. Harmel et R . Boirseau, cite ci-avant
- 82 Demblon J., o.c., p 115
- 83 Cfr. Harmel P., o.c., n 65
- 84 Harmel P., o.c., n 66
- 85 Weihs-Raabl R., La deontologie notariale, in: Rapports du Notariat Autrichien pour le XXII e Congres International du Notariat Latin, Osterreichische Notariatskammer, Wien, 1998, pp 103 et 111
- 86 Harmel P., o.c., n-s 67 a 69
- 87 Demblon J., o.c., p. 114
- 88 Demblon J., o.c., p. 116
- 89 Demblon J., o.c., pp 114-115
- 90 Cfr. Harmel P., o.c., n s 76 a 80
- 91 Cfr. Rapport KNB pour le XXIIe COngres de l' U.I.N.L., Theme III, p.5